


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 4 იანვარი 18 1898 წ. № 4

შინაარსი: დღევანდელი კითხვები ნ. ჟორდანიასი. სხვა-და სხვა ამბავი.—ჩვენი სახიობა.—კვირიდან კვირამდე—პოეტის ფიქრი ლექსი განდეგილისა.—წერილი პარიჟიდან X—სა.—ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა (დასასრული) ფ. მახარაძისა.—მგზავრის შენიშვნები ფ. ფატრ.შვილისა.—ქართველთა ისტორიის მასალა.—წერილები რედაქციის მიმართ.—უცხო სიტყვების ახსნა.—განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამამშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

## დღევანდელი კითხვები

### ჯ. შრომა.

წინა წერილში ჩვენ გავარკვიეთ ფული—კაპიტალის ისტორიული ზრდა-განვითარება და მასთან ერთათ გამდიდრება და გაღონიერება ფულის პატრონთა—ბურჟუაზიის. ვნახეთ აგრეთვე მისი ისტორიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ახლა ვიკითხოთ: ვისი შრომით იქმნება ეს სიმდიდრე? ვისი ოფლი იღვრება, ვისი ძალ-ღონე იფლანგება? ვის ზურგზე ტრიალებს მთელი ეს მოძრაობა?

კაპიტალის აღორძინება ნიშნავს შრომის აღორძინებას ე. ი. ადამიანი დღეს, ერთ და იმავე დროს განმავლობაში, მეტ ნივთს ამზადებს, მეტ სამუშაოს უვლის, მეტ საქმეს აკეთებს, ვინემ წინეთ. თუ წინეთ მეწაღე ერთ წყვილ წაღას ერთი კვირა მოუნდებოდა, დღეს ის ერთი დღე უნდება, თუ წინეთ გლეხ-კაცი ერთ ქცევა მიწას ერთ თვეს მოიმუშავებდა, დღეს ის ერთ კვირეს მოიმუშავებს. მაშასადამე მუშის შრომა განაყოფიერებულა, მისი საწარმოვო ძალა გაძლიერებულა. ეს პროცესი კი შეკავშირებულია თვითონ წარმოების და მასთან მთელი საზოგადოების განვითარებასთან. ეს ღრმა ეკონომიური ცვლილებაა, რაც საფუძვლათ დაედვა მთელ თანამედროვე ცივილიზაციას. ამ ცვლილების ძირითადი თვისება ის კი არ არის თუ რას აწარმოებენ, არამედ—რით და როგორ აწარმოებენ. ერთი ხანა მეორისაგან განირჩევა არა შრომის ნაყოფით, არამედ შრომის მეტოდით. აქ უნდა ვიკითხოთ: როგორ შრომობენ და არა რას შრომობენ, ვინაიდან კაცობრიობა თითქმის ყოველთვის ერთ და იმავეს შრომობს (სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი, სახლი და სხ.), მაგრამ ყოველთვის სხვადასხვანაირათ. ეს სხვადასხვანაირობა კი დამოკიდებულია შრომის იარაღების განვითარებაზე. შრომის იარაღი ორ-ნაირია; მოძრავი, ადამიანის ხელით გაკეთებული და უძრავი, ბუნების მოცემული. პირველი შეიცავს სხვადასხვა მანქანებს და

ხელ-საწყოს, ხოლო მეორე—მიწას. რამდენათ ვითარდება პირველი, იმდენათ იცვლის თავის ელ-ფერს მეორე. მაშ განვიხილოთ მათი გადასხვაფერება და შრომის შეუჩერებელი წინ-მსვლელობა.

საშუალო საუკუნოებში შრომას ინდივიდუალურ-ხელოსნური ხასიათი აქვს. აქ შრომის იარაღი მშრომელისაგან არ არის დაშორებული. ხელოსანი თავისი პატარ-პატარა ხელ-საწყოთი მთელი დღე თავისავე სახელოსნოშია. მეწაღისათვის საკმარისია ძაფი და ნემსის და ტყავის შეძენა რომ წაღები კეროს და მით თავი ირჩინოს. სამუშაო მასალა მის სრულ საკუთრებას შეადგენს. ის ამზადებს მთელ ნივთს და არა მის ერთ ნაწილს. ის ყიდის თავისავე ძალ ღონის ნაყოფს და არა თვითონ ამ ძალ-ღონეს. ერთი სიტყვით, ის ნივთიერათ არავიზე დამოკიდებული არ არის. მან იცის თავისი ხელობა და მით იოლათ მიდის. მარა, რამოდენიმე ისტორიული პირობების წყალობით, ბაზარი გაფართოვდა და ქვეყანაში მეტი ფული დატრიალდა. საჭირო შეიქმნა მეტი საქონლის დამუშავება და ბაზარზე მეტის გატანა. მის-მისდა მომუშავე ხელოსანი ამ დიდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და აუცილებელი შეიქნა შრომის განაყოფიერება. და აი, ფულის პატრონი აშენებს ერთ დიდ სახლს, ქირაობს ამ მიფანტულ-მოფანტულ ხელოსნებს, კრებს ერთ ჭერქვეშ და აყენებს ერთ საერთო საქმეზე. ამნაირათ წარმოდგა პირველი შეერთებული შრომა ანუ კოოპერაცია. ახლა დაქსაქსულ შრომის ალაგას შეერთებული შრომა ჩადგა. ასი კაცი ერთათ ერთ დღეს მეტს გააკეთებს, ვინემ ისინივე ცალცალკე. ცხადია, ამ ერთობისაგან იბადება ახალი ძალა, რომელიც კერძოთ არც ერთ მუშას არ ეკუთვნის, ეს მთელი საზოგადოების საკუთრებაა. მარა მისი მმართველი, ხელმძღვანელი დ მომხმარებელი თვით მუშები კი არა, მათი დამქირავებელი კაპიტალისტია. კაპიტალისტის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ამუშაოს, მეტი ნივთი გააკეთებიოს, მეტი გაყიდოს დ მეტი მოიგოს. ინდივიდუალური შრომა გადაიქცა საზოგადო შრომათ, ის გართულდა და განაყოფიერდა. ამასთანავე მშრომელმა დაკარგა დამოუკიდებლობა და გახდა მოქირავეთ. აშკარაა, აქ ერთათ მოდის ორი სხვადასხვანაირი პროცესი: შრომის განვითარება და მშრომელის დაბეჩავება. ამით უკვე ჩაისახა ამ ორ კლასთა შორის ძირითადი წინააღმდეგობა. ხოლო ამის გამძლავრება და შეგნება დამოკიდებულია საზოგადოთ შრომის ქვეეითი განვითარებაზე.

ასე და ამ გვარათ წარმოებამ იმატა, ბაზარი უფრო და უფრო გადიდდა, ხალხი მოძრაობაში მოვიდა. ამან მოითხოვა შრომის კიდევ მეტი განაყოფიერება და აი კოოპერატიული სახელოსნო დიდდება, მით მეტი მუშათახელი იკრიბება, შრომა იყოფა მათ შორის და ეძლევა დასაწყისი უფრო დიდ წარმოებას. ამას ეწოდება მანუფაკტურა. აქ მუშა მთელ თავის სიცოცხლეში აკეთებს ნივთის მხოლოთ ერთ და იმავე ნაწილს. წარმოიდგინეთ ლურსმნის ქარხანა, სადაც მუშათა ერთი ჯგუფი მარტო ლურსმნის თავს აკეთებს, მეორე ჯგუფი ტანს, მესამე ფორმას აძლევს და ასე ბოლომდი. მუშას თხოვენ მარტო ამ პაწაწკინტელა ნაწილის კეთებას და მეტს არაფერს. აი რა ნაირათ დაწვრილმანდა ადამიანის შრომა და იმავე დროს განაყოფიერდა. მაშასადამე შრომის განაწილება შრომის განვითარებას ნიშნავს. რამდენათ ეს პროცესი წინ მიდის, იმდენათ მეტი საქონელი გამოდის გასაყიდათ, იმდენათ მეტია კაპიტალისტის მოგება. კერძო, წვრილი ხელოსანი ვერ უძლებს ამ დიდი კაპიტალის მოცილეობას, ის იძულებულია თავისი სახელოსნო დახუროს და თვითონ კაპიტალისტს მიექირაოს. ამ გზით თანდათან ბატონდება კაპიტალისტური წარმოება. კაპიტალისტმა პირვანდელი პატარ პატარა სამუშაო იარაღები ერთათ მოაგროვა, ერთმანეთზე გადააბ-გადმოაბა, ცხენის ან წყლის ძალით აამოძრავა, მუშებს ჩააბარა დ უთხრა: თქვენი საქმეა მხოლოთ ამა დ ამ ნაწილის ტრიალს უცქიროთ და დროის დროზე სამუშაო მასალა მიაწოდოთო. ასე გაკეთდა მანქანა. ახლა მუშას ხელში არავითარი იარაღი არ აქვს, ესენი ერთმანეთს დაშორდენ. იარაღი თავისთვის დგას და მოძრაობს, მას მუშათა ჯარი გარს ახვევია და მანქანის ბრძანებას გულ-მოდგინეთ ასრულებს. მუშა შეიქმნა მანქანის ერთი ნაწილი და მეტი არაფერი. შრომის იარაღმა დაიმონავა თვითონ მშრომელი.

ამ სახით, ერთი მხრით ინდივიდუალური, განცალკევებული შრომა გადაიქცა საზოგადო შრომათ, და მეორე მხრით შრომის ინდივიდუალური იარაღი გადაიქცა საზოგადო იარაღათ.

მარა ეს პროცესი ამით არ გათავებულა. კაპიტალმა ერთ ალაგას შეჩერება არ იცის, ის მუდამ მეტს თხოულობს, განდიდება და გასქელება—მისი თან დაყოლილი მიდრეკილებაა. მანქანა, წყლის ან ცხენის საშუალებით ამოძრავებული, ცხადია, ვერ იქნება დიდი მანქანა; მაშასადამე საქონლის დამზადება ვერ ხდება ჩქარა, იაფათ და ბლომათ, ხოლო ხალხში კი უფრო და უფრო მატულობს მოთხოვნილება, აღებ-მიცემობა და მისვლა-მოსვლა. საჭირო შეიქმნა დიდი მანქანის შემოღება, მარა ამისათვის აუცილებელია დიდი სამოძრავო ძალა. სად არის ეს ძალა? აი ეს გახდა ერთ უდიდეს ისტორიულ კითხვათ და კიდევაც გადაიჭრა. 1773 წ. გამოგონილ იქმნა ორთქლის მანქანა და მით შრომის

პირობა ერთიანათ გადასხვაფერდა. ორთქლის მაშინის შემოღება ნიშნავს დიდი ქარხნის აშენებას, მრავალ მუშების დაქირავებას, მოკლე დროში ბევრი ნივთის დამზადებას და მით იაფათ გაყიდვას. იაფი საქონელი კარზე მოადგა ყველას და მივარდნილ კუთხეებშიაც კი აღძრა მოთხოვნილება ფაბრიკის ნაწარმოებზე. ფაბრიკა გაბატონდა ბაზარზე და იქიდან ძველი წვრილ-წვრილი კაპიტალისტები სამუდამოთ განდევნა. მრეწველობა გახდა დიდი ფულის პატრონის საკუთრებათ. კაპიტალისტიურ წარმოებამ იწყო მცირე რიცხვის ხელში მოგროვება. ამასთანავე, ქარხნებში შემოკრიბა აუარებელი მუშა-ხალხი და შეება ერთ უღელში ერთად სამუშაოთ. აქ ხელობა, განსაკუთრებითი სწავლა-ცოდნა საჭირო აღარ შეიქმნა. უბრალო ვიგინდარაც კი აწვდის მაშინას შესაფერ მასალას. კიდევ მეტი, ეს კარგათ შეუძლია არა თუ კაცს, არამედ ქალსაც, არა თუ მოზდილს, არამედ ბავშსაც. და აი ატყდა კონკურენცია ყველა ამ პირთა შორის დღის ქირისათვის. შვილი მამას შეეცილა, ცოლი ქმარს, და ძმას — ერთი სიტყვით შეიქმნა საერთო ბრძოლა ფაბრიკის კარებთან, არა მე მიქირავონ, არამეო. დაეცა ოჯახი, აირია სახლ-კარი, დაიშალა მოყვრულ-ნათესაური განწყობილება. ამის ალაგი დაიჭირა შეუბრალებელ ბრძოლამ ლუკმა პურისათვის... რაც უფრო გამწვავდა კონკურენცია მუშათა შორის, მით უფრო დაეცა დღიური ქირა, მით უფრო გაძლიერდა სიღარიბე. აქედან წარმოიშვა მეორე, სულ წინააღმდეგი, ლტოლვილება, სახელდობრ, მუშათა შეერთება და თანხმობით მოქმედება. მუშა-ხალხი, ერთ ჭერქვეშ თავ-მოყრილი, ერთ ნივთიერ პირობებში ჩაყენებული, ერთი პატრონის მორჩილი — უკვე მზათ არის ერთობის და ძმობისათვის. და აი, ამ გზაზე შედგა ის დღეს დასავლეთ ევროპაში. ბრძოლა მუშათა შორის სუსტდება და ბრძოლა ბურჟუაზიასთან მძლავრდება. აი, ამ ორ კლასის შეტაკება შეადგენს დღევანდელ ცხოვრების ღერძს.

ასე თანდათან გადასხვაფერდენ შრომის პირობები მრეწველობაში. ამან თან გაიყოლია შრომის ასეთივე მოძრაობა მეურნეობაში. პატრიარქალურ და ნატურალურ წარმოების დროს, გლეხი მუშაობს არა ფულის და ბაზრისთვის, არამედ თავისი და თავის ბატონის მოთხოვნილების პირდაპირ დასაკმაყოფილებლათ. აქ საჭიროა მხოლოთ პური, ყველი, ხორცი, ღვინო და სხ. მარა ამათ მომხმარეს საზღვარი აქვს და ეს საზღვარი პირველ ყოვლისა კუჭია. ბატონს, რაც უნდა ემეცადინა, წელწადში ასი ფუთი პურის მეტს ხომ ვერ შეჭამდა. მაშასადამე შრომასაც საზღვარი ჰქონდა. ვის რა ენაღვლება ერთი ქცევა მიწა ათ თუ ას ფუთ პურს მისცემს, თუ კი წლის სარჩო საკმარისი ექნება. ამიტომაც აქ შრომა ნელი და ნაყოფიერებას მოკლებულია. აქ ყველგან სიზარმაცე მეფობს. მარა აი, ნატურალური მეურნეობა დაინგრა, ყველას ფული დაჭირდა და შეუდგენ ფულის მომუშავებას, თუ შეიძლება ასე ითქვას. ახლა პურს, ღვინოს მიწას, და სხვა ნაყოფს იმდენი მნიშვნელობა მიეცა, რამდენათაც ამათ ფული შემოაქვთ, ფულის საჭიროებას კი საზღვარი არ აქვს, რაც მეტი გაქვს, მით უკეთესია, მაშასადამე მიწის მუშაობასაც საზღვარი აღარ აქვს, მეტი მიწა-ადგილი, მეტი მუშაობა, მეტი ნაყოფი — აი რას შეეცადა მეურნე. ის, რომელიც იაფათ აწარმოებს და ბაზარზე იაფათ ჰყიდის, ძლიერდება და წინ-მიდის. ამისათვის ის იძულებულია მეურნეობა გააუკეთესოს, მანქანები შემოიღოს, დიდი ფული ჩადვას, ბევრი მუშები დაიქირაოს და სხ. ასეთ მწარმოებელს, რასაკვირველია, ვერ უძლებს წვრილი მესაკუთრე, რომელსაც არც ფული აქვს და არც სხვა რამე, და ნელ-ნელა დაბლა ეშვება, საკუთრება ეკარგვის და პროლეტარიატდება. ამ ხანაში ესენი დაჟინებით თხოულობენ სახელმწიფო დახმარებას, წვრილ კრედიტს, საგლეხო ბანკებს და სხ. ცნობილ პრუდონმა მთელი თავისი ,,სოციალიზმი'' ასეთ ბანკებზე ააშენა. მაგრამ ყველა ეს მათ გაპროლეტარიატებას აჩქარებს და არა აფერხებს.

ცხადია, მეურნის შრომა ნაყოფიერდება, მარა ამით მხოლოთ ფულის პატრონნი სარგებლობენ, დანარჩენნი კი ან სრულიად ჰკარგვენ ქონებას, ან და მოვალეთა ყურ-მოჭრილ ყმებათ ხდებიან. მეურნეობა თან-და-თან კაპიტალისტიურ ფორმას ღებულობს.

ამგვარათ, საითკენაც კი მივიხედავთ, სოფელია ეს თუ ქალაქი, მრეწველობაა თუ მეურნეობა, ყოველგან ერთ და იმავე ძირითად მიდრეკილებას ვხედავთ: შრომის განვითარებამ ერთი მხრით დააყენა კაპიტალისტი-მრეწველი და კაპიტალისტი-მეურნე, ხოლო მეორე მხრით პროლეტარიატი-მრეწველი და პროლეტარიატი-მეურნე. ეს პროცესი ჯერ არსად არ არის დასრულებული, ჩვენ მხოლოთ ახლა შევდექით ამ გზაზე და საშინელი სისწრაფით წინ მივექანებით. რამდენათ ჩვენი ნაციონალური შრომა ვითარდება, ძალა და ენერგია მატულობს, იმდენათ ჩვენ ამ პროცესს ჩქარა ვაკეთებთ, იმდენათ ჩვენ ვუახლოვდებით ევროპას; რამდენათ ჩვენ ვევროპიელდებით ეკონომიურათ, იმდენათ ჩვენი [illegible] გაევროპიელება აუცილებელია. ხოლო [illegible] პიელების პირველი მცნებაა, შრომის [illegible] თა ერთათ დადგომა და თავის ინტ[illegible]

კუთარი ძალ-ღონით ბრძოლა. ჩვენი ნაციონალური ზრდა-წარმატებაც ერთიანათ ამ პროცესში მდგომარეობს, ამას გარეთ არ არის არავითარი მოძრაობა, არავითარი მოვლენა, ყოველივე ამასთან არის შეკავშირებული, ყოველივე ამით და ამაში იბადება, ამით და ამაში იხსნება. ეს ის წერტილია, საიდანაც დაინახება უშორესი და ულრმესი მოვლენა, ეს ერთათ ერთი მეცნიერული შეხედულობაა და ჩვენც ამით ვიხელმძღვანელებთ ჩვენი ცხოვრების კვლევა-ძიებაში და ყოველ დღიური კითხვების ახსნა-გადაწყვეტაში...

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

თებერვლის პირველ რიცხვებში სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში განხილული იქნება კანონ-პროექტი შესახებ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაწეს-რიგებისა.

—

ჩვენ შევიტყვეთ, რომ თებერვლის 17 სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია ბრილელ გლეხთა საქმე, რომელთაც ბრალდებათ თავადი ნ. დიასამიძის მოკვლა.

—

გაზეთების სიტყვით, თებერვალშივე მივა პეტერბურგს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. კ. პ. იანოვსკი, რომელიც დაესწრება რჩევას იმის შესახებ, თუ სად უნდა იქმნას დაარსებული პოლიტეხნიკური მუზეუმი და აგრეთვე პოლიტეხნიკუმი. ამავე დროს პეტერბურგში იქნება თვით კავკასიის მთავარმართებელიც და იმედია პოლიტეხნიკუმის საქმე საბოლოოთ გადაწყდება.

—

სასჯულმდებლო და შინაგან საქმეთა სამინისტროები კავკასიის მთავარმართებლის თანადასწრებით ახლო მომავალში განიხილვენ კითხვას, თუ რა ზომები უნდა იქმნან მიღებული კავკასიაში ავაზაკობის მოსასპობლათ.

—

8 იანვარს ფინანსების სამინისტროში მომხდარ ნავთობის კომისიის კრებაზე განხილულ იქმნა კითხვა, შესახებ ახალი რკინის გზის შტოების გაყვანისა კავკასიის მარგანეცის საწარმოეო რაიონში.

—

[illegible] გ. ერისთავმა - წინადადება შემოიტანა, [illegible] ტფილისის პოლიტეხნიკუმს დაერქვას [illegible]-ს პოლიტეხნიკუმი". ამასთანავე იგი [illegible] თავის მხრით სწირავს 1000 მ.

15 იანვრის ბაქოს დეპეშა გვატყობინებს: შუა დღეს აქეთ ცეცხლი უკიდია მურანაგიევის ქარხანას შუა ქალაქში; ცეცხლის ალი მთელ ბაქოს ანათებს. დაიწვა ნავთის ორი აუზი, რომლებშიაც 500,000 ფუთი ნავთი იყო. კაცებიც დაიღუპენ.

—

გაზ. „მშაკის“ სიტყვით, ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა უკან დასაბრუნებლათ განზრახვა აქვთ ახალი წეს-რიგი შეიმუშაონ. ამ წეს-რიგით, ყოველ კაცს პასპორტი და ცოტაოდენი საგზაო ფული მიეცემა თურმე. ამ აზრით ყველა გადმოსახლებულთა სია იქნება შედგენილი.

—

13 იანვარს ნაშუადღევს $2^1/_2$ საათზე ყარსის რკინის გზაზე მუშა-მატარებელი გადმოვარდნილა ლიანდაგიდან. ექვსი ვაგონი სულ მთლათ დამსხვრეულა. ერთი მუშა მომკვდარა და ექვსი მძიმეთ დაჭრილა.

—

განზრახვა აქვთ რაც შეიძლება გააძლიერონ სახალხო მატარებელთა კონტროლი, რათა მოსპობილ იქმნას მატარებლის მოსამსახურეთაგან მეტათ გავრცელებული პასაჟირების უბილეთოთ წაყვანა. გარდა უკვე არსებული რკინის გზის კონტროლებისა და რევიზორებისა, განზრახულია პერიოდულათ იგზავნებოდენ მატარებლებში სარევიზიოთ საკონტროლო და სახაზინო პალატის მოხელენი. ამასთანავე სადგურების უფროსებს დაევალებათ კვირაში ერთხელ მაინც მოახდინონ ხოლმე მატარებლის უეცარი რევიზია, და ისიც იმ დროს, როცა მატარებელი უკვე დაიძრება სადგურიდან. ხსენებულ დანაშაულობაში მეორეთ შენიშნული კონდუქტორი თუ ობერ კონდუქტორი მაშინვე დათხოვნილ იქნება სამსახურიდან.

—

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს გაუცია ბრძანება, რომ რკინის გზათა დეპარტამენტის განმარტებისამებრ საჩივრების წიგნი (**жалобная книга**) არ უნდა მიეცეს ხოლმე მთვრალ პასაჟირთ, ამასთანავე საჩივრების წიგნის მიუცემლობა უნდა იქმნას აღნიშნული ჟანდარმის მიერ განსაკუთრებულ ოქმში.

## ჩვენი სახიობა.

ხუთშაბათს, 15 იანვარს ა. კარგარეთელის საზენეფისოთ წარმოადგინეს ახალი 4 მოქმედებიანი კომედია — „ინჟილერი ან დოხტური“. ეს კომედია ახალგაზდა ქალის დაწერილია და მაყუ-

რებელთა (თუმცა ხალხი ნაკლებათ დაესწრო) დიდი ყურადღება დაიმსახურა. სცენები მართალაც ზოგი ერთი შვენიერი იყო, მეტადრე პირველი მოქმედება. შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სალომე (ჩერქეზიშვილისას) დიდი ვაი-ვაგლახით გამოუზრდია ორი ვაჟიშვილი და უმაღლესი სწავლაც მიუღებინებია. ერთი ინჟენერია (ვ. აბაშიძე) და მეორე დოქტორი. (კ. მესხი) დედას შვილების დაბინავება სურს სწავლის ღირსათ და შესაფერათ, ამიტომაც მიმართავს მაჭანკლებს და ამათი საშუალებით შვილებს დიდ მზითვიან ცოლებს უშოვის, მაგრამ რადგან შვილებმა ძუნწობაში დედასაც კი გადააჭარბეს ორივე უბედურდებიან, ორივეს ნაცემი ცოლები გაექცათ და თითონ სამართალში მიეცენ. კარგათ დახასიათებული იყო მხოლოთ სალომე. ეს ტიპი არა ერთხელ დაუხატავთ ჩვენთვის. ნიჭიერმა არტისტ ქალმა ისეთი სინამდვილით და ცოცხლათ აასრულა, რომ გვეგონებოდათ მართლა თვალწინ გვიდგია ნახული ტიპიო. მობენეფისე თამაშობდა ინჟენერის როლს, მაგრამ მისი ტიპი მკრთალათ დ შეუსრულებლათ იყო გამოხატული. რაც შეეხება თვით ინჟენერს და დოქტორს, ამათ ნამეტანი ცემა-ტყეპა ჰქონდათ; როგორღაც ძნელი წარმოსადგენია, რომ თვით არტისტებისაკან გადაჭარბებული არ იყოს.

# კვირიდან კვირამდე.

არ მოვა და მოვათრევ—მუდამ სიმღერა—თფილისის ქვედა სართული—ბატონის წყალობა—ევროპიელობის ნაგლეჯი.

ბ. პ უმიკაშვილის „სამზადისში“ ერთი მეტათ საგულისხმო სცენაა დასურათებული: ორი მოპირდაპირე ლტოლვილება ერთმანეთს ეჯახვის თეატრის დაარსების გამო. ძველი მიმართულების და აზროვნების მიმდევარი ფილოსოფოსათ წოდებული პლატონ იოსელიანი წინ აღუდგა ახალ-გაზდათა თავხედობას და ამტკიცებდა: თეატრი ჩვენთვის ნაადრევია, უნიადაგოა, არტისტები არ გვყავანან და სხ. აქაო და ევროპაშია, ჩვენც უნდა გავიჩინოთო, იქ არის იმიტომ რომ იქაურ ცხოვრებამ მოამზადა, ნიადაგი გაუკეთა და შექმნა, ჩვენკენ აბა საიდან მოვაო. აქ ერევა დიმიტრი ყიფიანი და ასე მოკლეთ უჭრის: არ მოვა და მოვათრევო!

დიახ, არ მოვა და მოვათრევ! განა ეს არ არის სული და გული ყველა ახალი მოძრაობის? ეს არ აწერია ყველა თავ-დადებულ მოღვაწეთა დროშაზე? განა ეს სცენა არ მეორდება ყოველ ხანაში, ყოველ საქმეში და მოღვაწეობაში? დაიწყეთ რაიმე ახალი საქმე, თქვით რამე ახალი აზრი და მაშინვე იქ გამოჩნდებიან პლატონი და დიმიტრი და შეიქნება ერთი ბრძოლა.—ეს ჩვენი რა საქმეა, თავს სასაცილოთ ნუ ვიხდით, ევროპას რას ვეტოლებით—გაიძახის ჩვენი თანამედროვე პლატონი და თანაც უკან-უკან იხევა, უთუოთ რაღაც ძალიან „ფილოსოფიური“ წამოიროშეთ. ხოლო ყველა ის, რომელსაც სიცოცხლე და მოქმედება სწყურია, ადამიანურ წყობილებას და სამართლიანობას ელტვის—აი ის დიმიტრი ყიფიანთან ერთათ ამბობს: დიახ, უნდა მივეტოლოთ, დიახ, უნდა გავყვეთ ევროპის გზას და თუ ეს ნებით არ იქნება ძალით უნდა მოვათრიოთო. და, მერწმუნე მკითხველო, ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი გვაქვს ევროპიდან მოსათრევი. ეს „კვირიდან კვირამდეც“, თქვენი დახმარებით და თანაგრძნობით, აი ამ მოთრევის საქმეს გვსურს ვამსახუროთ. დეე, ამაზე იცინონ და ილაზღანდარონ ჩვენ კუდაბზიკა „ფილოსოფოსებმა“ და მათ ამყოლ-დამყოლმა. „კვირიდან კვირამდე“ ამას ოდნავაც არ შეუდრკება, ერთხელ არჩეულ გზას არ გადასცილდება და ღობე-ყორეს არ მოედება. მაშ შევუდგეთ საქმესა ჩვენსა და ვძლიოთ უმეცრება ჩვენი...

***

ჩვენ, ქართველებმა, ჯერ გლოვაც არ ვიცით როგორ უნდა. საზოგადო საქმეს, საზოგადო მოღვაწეს და მთელი ერის მეთაურსაც ისე ვუცქერით, როგორც უბრალო მეზობელს, ნაცნობს და ნათესავს. და როგორც ამათ ვიგლოვთ სწორეთ ისე ვიგლოვთ ხოლმე პირველთ. მაგალითი შორს არ არის. ამ თვის 11 მთელმა ქართველობამ იგლოვა მეფე ერეკლეს ასი წლის გადაცვალება. ერეკლე რომ შესანიშნავი გმირი და სახელოვანი სარდალი იყო ამას, განგებ გონება დახშულის მეტი, უარს არავინ ჰყოფს. ქვემოთ დაბეჭდილი „საისტორიო მასალიდან“ ნათლათ ჩანს რომ ასე უყურებდენ მას არა მარტო ქართველები და აზიელები, არამედ ევროპიელნიც. ჯერ კიდევ 27 წლის ერეკლემ დიდი იმედი აღძრა ევროპაში. მას უწინასწარმეტყველებდენ შესანიშნავ საქმეებს და ეს იმედი მან დიდ ხანს ამართლა. მარა ბოლოს მაინც ჩვენი სვე-ბედი ერთიანათ შებრუნდა და იმედი დიდ უიმედობათ გადაიქცა. ასეთი ორი, ერთი მეორის უარის მყოფელი, ხანა ასე მოკლე დროში მეტათ დამაფიქრებელი და გასაკვირველი უნდა იყოს. ჩვენ, რასაკვირველია, ყველა ამ ცვლილებას მხოლოთ ერეკლეს პიროვნებას არ ვაწერთ. ისტორია ასე ადვილათ არ კეთდება. მისი ღრმა მიზეზი უეჭველია მაშინდელ ცხოვრების გულშია დამარხული და სანამ ეს არ იქნება შესწავლილი, მანამ

არ გვეცოდინება პირველიც. მერე ვშვრებით ჩვენ ასე? თავს ვიტკივებთ ამისათვის? განა ერეკლეს გლოვის დღეს ერთი ასეთი შრომა არ შეფეროდა? ევროპაში ასეთ შემთხვევის დროს იცემება მრავალი წიგნები, იბეჭდება მრავალი გამოკვლევანი, იმართება მიტინგები და ასე საზოგადოებას, მთელ ხალხს თვალს უხელენ. ჩვენში? ჩვენ გადავიხადეთ პანაშვიდი, დავბეჭდეთ ლექსებ-შაირები, ავაჟღარუნეთ გრძნობის სიმები და მერე? მერე არაფერი, გარდა იმისა, რომ გათენდა მეორე დღე და ირაკლის ხანა ისევ ბნელით დარჩა გარემოცული, როგორც ეს წინეთ იყო. ჩვენ ჯერ ყოველივე საქმეს გრძნობიერებაზე ვამყარებთ, ჩვენი ერთათ ერთი მოღვაწეობა — ეს ან მხიარულება და ან ქმუნვაა, ჩვენი ხელობა სიმღერაა. მღერის, რასაკვირველია, პოეტი, მღერის ჟურნალისტი, მღერის პუბლიცისტი, ისტორიკოსი — ერთი სიტყვით ყველა. დრო არის, ღმერთმანი, ცოტა უფრო სერიოზულ საქმეს მოვკიდოთ ხელი, თვარა ეს მეცხრამეტე საუკუნეც, საცაა ხელში ჩაგველევა და ჩვენ კი, ვაი სირცხვილო, სულ ვმღერით და ვმღერით!

* * *

მარა, უკაცრავათ, ყველა არ მღერის, ზოგი კიდევაც საქმობს, მაგ. თფილისის საბჭო. საბჭოს სხდომა ერთნაირი აკადემიაა, სადაც კაცი სწავლობს — იცით რას? — მოგებას, გამდიდრებას და საიდან რის გამოძვრენას, აქ ყველაფერს ვაჭრული თვალით უცქერიან, ყველაფერს ყანთარზე დებენ და ისიც მხოლოთ ვაჭრების და არა საზოგადო ყანთარზე. არ გჯერათ? აი ბატონო 12 იანვრის სხდომა.

თავმჯ. პოლიტეხნიკუმის წყალობით ქალაქს აუარებელი ხალხი მოაწყდება, ვაჭრობა იმატებს, ხალხის სიმრავლე და ვაჭრობა კი ქალაქის კასას გაამდიდრებს... აი ამიტომ 30 ათასი მ. შევწიროთ პოლიტეხნიკუმს წელიწადშიო. გულ-უხვი საბჭო, იტყვის მკითხველი, მარა მოიცათ, „ჩოთქი“ არ იცით? 30 ათას მანეთს კი არ წირავს, არამედ ასესხებს იმ იმედით რომ შემდეგ ორ-წილათ, როგორც გვარწმუნებს თავმჯდომარე, ვაჭრებს და მერე ჯამაგირების სახით ჩვენ (ე. ი. მათ) დაგვიბრუნდებაო. ეს „შეწირვა“ კი არა გამოცინცვლაა. ღარიბ მოქალაქეთა გროშებს დებს ისეთ საქმეში, რომელიც ქალაქის პლუტოკრატებს ავითარებს, ასწავლის და ამდიდრებს. მართალია, გამოჩნდა ერთი უბადრუკი ადამიანი, რომელმაც დარცხვენილათ და მოკრძალებით ენა შეუბრუნა და ბოდიშით შეჰკადრა: ეს ერთობ ბევრია ვაჭრების სასარგებლოთ, ქუჩების მოკირწყლვას, განათებას და სხვას რას უშვრებითო, მარა ეს შთანთქა საერთო ორომველამ. ამბობენ ეს გაბედული ოპოზიციაშია, „პროგრესისტიაო“. და თურმე ნუ იტყვით, მისი „პროგრესისტობა“ ქუჩების მოკირწყლვაში ყოფილა ჩამალული. საბრალო პროგრესი! როგორ დაასამარეს ის საბჭოში!

შეიძლება იკითხოთ: ნუ თუ ამოდენა ქალაქში ვაჭრების და „პროგრესისტების“ მეტი არავინ არის? არის, როგორ არ არის, მარა მათ სულ ბალი-ალას აძახებენ. ეს უენონი ხანდახან — თუმცა ძალიან იშვიათათ — ენასაც ამოიდგამენ ჲ საცოდავათ ამოიკვნესებენ: გაგვიკითხეთ, ჩვენც ქალაქის მცხოვრები ვართ, ჩვენკენაც გადმოიხედეთო. მარა ეს, ჩვეულებრივ, საბჭოს ყურამდი ვერ აღწევს.. აი ერთი ამ გვარი გოდება ამ დღეებში „ივერიაში“ დაბეჭდილი: „ექვსნი ვართ უსახლკარ-უდედ-მამონი. ერთი და სულით ავათმყოფია, დანარჩენნი შიშველ-ტიტველნი ნაგორნის ქუჩაზედ, თეთრაძის სარდაფში, ვათევთ ხოლმე მწვავე ღამეებს. ღვთის გულისათვის მოგვხედეთ და დაგვიხსენით სიმშილით სიკვდილისაგან. ასულნი დიმიტრიაშვილები“. განა ამაზე მეტი გულ-შესაზარი კიდევ გინდა მკითხველო? ეს რომ პარიჟში მოხდეს ქვეყანას გააყრუებენ, დაგვჭამეს პლუტოკრატებმაო. აქ თფილისში? აქაური პლუტოკრატია და მისი მონა მორჩილი საბჭო ამ საწყლების ზურგზე ბუქნას გადადის და ზოგი მათგანი კიდევაც „პროგრესისტობს“. ნუ თუ საბჭომ ერთხელ მაინც არ უნდა ჩაიხედოს თფილისის დაბალ სართულში და არ შეიტყოს თუ რამდენი ადამიანი სულს ლევს შიმშილ-წყურვილით ამ დანოტიოვებულ სარდაფებში? ვაჭრები და „პროგრესისტები“ ერთათ შეერთებულნი გაიძახიან: არა, ეს ჩვენი ხელობა არ არისო.. აბა მოდი და ნუ დაუჯერებ, გვჯერა, ძალიანაც გვჯერა. მხოლოთ სამწუხარო ის არის, რომ თფილისის ქვედა სართულს ჯერ კიდევ არ სჯერა...

* * *

თუ ქალაქის ბატონები ასე გაურბიან გაჭირვებულ ხალხის დახმარებას, სოფლის ბატონები სრულიად არ გაურბიან გლეხების და... ქცევას და დაბეჩავებას. მარა საკვირველი ის არის რომ აქაც სალაციდან „პროგრესისტები“ გამოჩეკილან და ხალხს ბატონ „პროგრესის“ სახელით ამათრახებენ. ამის უებარ მაგალითს სოფ. ბრილი წარმოგვიდგენს. გაგიგონიათ ეს სოფელი? ეს ის სოფელია, რომელიც აგერ ოც წელზე მეტია თავის მებატონეს მამა პაპეულ მიწას ედავებოდა და რაც მით დაბოლოვდა, რომ გამოუცხადეს: გლეხებს უარი ეთქვასო. ეს ის სოფელია, რომელსაც 1889 ეგზეკუცია ჩაუყენეს, 14 კაცი ციხეში ჩაამწყვდიეს, ზოგიც პატიმართ როტაში გაგზავნეს და სხ. სულ იმ დავის თაობაზე, და რის სამწუხარო შედეგი საყოველთაოთ ცნობილია. ბოლოს, როგორც „ივერია“

გვაუწყებს, ზრილის მთელი გლეხობა დაუტიტველებიათ, ვინც შინ არ იყო ყოველ მხრიდან მოურეკიათ და დაუწყიათ ძიება ვინ არის „თოფ ნაკრავიო“. რა თოფია, რა ამბავია? იკითხავს მკითხველი. რა და ამას წინეთ ვიღაც ბოროტ გამზრახველთ მებატონის სიახლოვეს გაევლოთ რაღაც ავი მიზნით, დარაჯებმა, არც აციეს, არც აცხელეს, მიმავალ ხალხს თოფები დაუშინეს, და რასაკვირველია უამისოთაც დაფრთხალი ბრილელნი დაფრთხენ და გაიქცენ. ამ სროლაში ვითომ ვიღაცა კიდევაც დაჭრეს და აბა ვინ აღმოაჩენს ამ დაჭრილ ავაზაკსო, და რადგანაც ჭრილობის დასანახავათ ტანზე დახედვაა საჭირო, ზრილელნიც დაატიტვლეს და დაუწყეს ძებნა ჭრილობას. რასაკვირველია არა გამოვიდარა. ეს მგონი პირველი მაგალითია, რომ ჩვენში ასეთი ახირებული ძიება მოეხდინოთ და ისიც ასეთ სათუო და საეჭვო საქმისათვის. მარა რა არ მოხდება ამ ცოდვილ ქვეყანაზე და კიდევ უფრო ცოდვილ ზრილში. აი სწორეთ ამას ქვია ბატონის წყალობა...

***

აბა ახლა ერთი ბრილელი გლეხნი ასკანელ გლეხთ შეადარეთ. თუ პირველთა პირადობა და ადამიანობა ასე საჯეკნ საქონლათ გამხდარა, სამაგიეროთ მეორენი დიდი პატივით და კრძალვით ეპყრობიან ერთმანეთს. აქ წელს მომხდარა „დამზოგველ-შემნახველ ამხანაგობის“ კრება, რომლის წევრი მრავალი ქალი ყოფილა. და მერე იცით რა ნაირათ ჩაუვლია? წმინდა ევროპიულათ, არც აურზაური, არც ლანძღვა-გინება და შენ-ჩემობა—ერთი სიტყვით არც ერთი ის, რაც ჩვენი დიდი საბანკო კრებათა ნიშნობლივი თვისებაა. პირ იქით ამხანაგობის გამგესათვის ქება-დიდება შეუსხამთ. საჩუქარიც მიურთმევიათ და სხ. საქმიანობა და უანგარობა ასე დაუფასებიათ და არა ფეხ-ქვეშ გაუტანიათ, როგორც ეს ჩვენ დიდ კრებებზეა ხოლმე. სად არის ასკანა? სად და გურიას ერთ მივარდნილ კუთხეში. საკვირველი ის არის რომ რაღა მაინც და მაინც ამ მიყრუებულ ალაგას შევარდნილა ევროპიელობის ერთი ნაპერწკალი და ქუთაისის და თფილისის ბანკებისათვის გზა აუქცევია. მახლას!

# პოეტის ფიქრი

## (ნაწყვეტი)

ხან შეუპოვრათ მკერდით ვაპობ ცისა კამარას,
ვარსკვლავთ ციმციმში ვასრიალებ დაუღალავ ფრთებს,
ღამისა გუშაგს სალამს ვუძღვნი კრძალვა-რიდებით,
და მზისა ტახტსა მსხვერპლათ ვწირავ გრძნობათა ზვირთებს.
ხან ქართა ღრიალს ბანს ვუმწყობრებ, ვკვნესი და ვგმინავ,
ხან ფოთოლთ შრიალს მეც ჩურჩულით ვეალერსები,
ხან ზღვაში ვცურავ, ალმა-დალმა ვყვები მის ტალღას,
ხან ხმელეთზე ვარ, მთა-ბარს ვუმღერ, ტრფობით ვიგზნები.
ხან სულყველაფერს ვგმობ და ვწყევლი, მძაგს თვით სამყარო,
მძაგს ღვთის ხატებაც: კაცი, მეფე მთელის ბუნების,
მეფე ზვიადი, მაგრამ მონა თავისი მონის,
ქვეყნის გვირგვინი და... გვირგვინი ღალატ-ცდუნების.
და როს მზათა ვარ, ავსა და კარგს, ძლიერი ხელით
ხმალი მოვუსვა გასამუსრათ, ვით სამკალს ცელი—
„შენც კაცი ხარ!.“-ო ჩამომძახის ხმა იდუმალი
და ორივ ერთათ მიჩლუნგდება—ხმალი და ხელი.

განდეგილი.

# წერილი პარიჟიდან

დრეიფუსის საქმე. ორ თვეზე მეტი იქნება, რაც პარიჟი შფოთავს და ღელავს; ორ თვეზე მეტი იქნება, რაც პარიჟის ჟურნალ-გაზეთობა ცერებზე შემდგარა, ყირამალას გადადის და ერთი ვინ ხარ მამაცის ძახილშია. საზოგადოებაც, ნასწავლი თუ უსწავლი, დიდი და პატარა, თან აჰყოლია და დიდი მოუთმენელობით მოელის იმ კითხვის ასე თუ ისე გადაჭრას, რომელიც ყველასთვის თავ-პირ სამტვრევ საგნათ გამხდარა.. და თუმცა ეხლა ეს კითხვა ოფიციალურათ ასე თუ ისე გადაჭრილია, მარა ესეთი კითხვის გადაჭრა საზოგადოებას არ დააკმაყოფილებს, ყოველ შემთხვევაში მის უკეთეს ნაწილს: და მაშასადამე ისევ ის შფოთვა და ღელვა იქნება. რა მოხდა ასეთი, რამ აალელვა ასე პარიჟი და მასთან მთელი საფრანგეთი? რა გრძნობა არის ის გრძნობა, რომელსაც ეს საქმე ეხება? გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, გრძნობა მამულიშვილობისა; თუმცა, სამწუხაროთ, ბევრისაგან ცუდათ შეგნებული.

ამ სამი წლის წინათ ერთი აფიცერი საფრანგეთის ჯარისა, ალფრედ დრეიფუსი, ჩამომავლობით ურია, ცნობილ იქნა როგორც სამშობლოს მოღალატე და მთელი ხალხის წყევა-კრულვით სამუდამოთ გაიგზავნა ახალი კალიდონიის კუნძულზე დასაპატიმრებლათ. დრეიფუსი, თავ-გამოდებით იცავდა თავს, ამბობდა რომ ის არ იყო დამნაშავე, რომ ის არ იყო ავტორი იმ წერილისა, რომელიც ატყო-

ბინებდა; გერმანიის, მთავრობას საფრანგეთის დაცვის ზოგიერთ საიდუმლოებას, რომ ის არ იყო ავტორი იმ ბედ-უკუღმართი დავთრისა რომლის დაწერასაც მას აბრალებდენ; მაგრამ მისმა სიტყვამ არ გაჭრა, მისი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა." ძმა დასჯილისა, მათე დრეიფუსი, დარწმუნებული მის უდანაშაულობაში, გაუჭაცილებით ცდილობდა, რომ აღმოეჩინა ნამდვილი დამნაშავე და მით თავისი ძმა დაეხსნა. და აი, სამი წლის კვლევა-ძიებას შემდეგ ის ოფიციალურათ აცნობებს მთავრობას, რომ მის ძმას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის სამშობლოს წინაშე; და ამავე დროს მეორეზე უთითებს ხელს, როგორც ნამდვილ დამნაშავეზე; და ეს მეორე კი არის, სამსახურიდან გადაყენებული ჯარის კაცი, ესტერაზი. მათე დრეიფუსს მხარს აძლევს კაცი ცნობილი და დიდათ პატივცემული, ელზასის დეპუტატათ ნამყოფი და სენატის ვიცე-პრეზიდენტი შესტნერ-კესტნერი. ყველა ეს ხუმრობა არ იყო და გაზეთებმაც მორთეს ხმა მაღლა ყვირილი. გაიყო საზოგადოება ორ ნაწილათ; ერთი ნაწილი, (და ეს უმრავლესობას შეადგენს დღესაც) გაიძახის რომ „დრეიფუსი მოღალატეა, და მაშასადამე კანონიერათ და სამართლიანათ დასჯილიაო; ყველა ეს შფოთი გამოწვეულია მით, რომ ურიებმა სინდიკატი შეჰკრეს და რადგან მათ ფულები ბლომათ აქვთ, არ ზოგავენ არავითარ საშუალებას, რომ დამნაშავე გაამართლონ, მით თავისი შებღალული სახელი აღადგინონ და ჩვენ კი აბრუ გაგვიტეხონ უცხოელთა თვალშიო". მეორე მხრით კი იყო და არის ჯერ კიდევ უმცირესობა, და მის შორის გამოჩენილი რომანისტი ემილ ზოლა, რომელიც თავ-გამოდებით იცავდა „ფიცაროში" დრეიფუსს, ან უკეთ რომ ვთქვათ, სამართლიანობას, რადგან პირდაპირ გადაჰკრა იმ კითხვისა, დრეიფუსი დამნაშავეა თუ არა, ძნელია. და, რადგანაც ის გასამართლებული იყო სამხედრო სამართალით და მასთან საქმე წარმოებდა; საიდუმლოთ, ზოლა და მასთან სხვებიც თხოულობდენ, რომ საქმე ხელმეორეთ გადაშინჯულიყო. ასეთი თხოვნა არამც თუ სამართლიანი, თითქმის აუცილებელი იყო ზოგიერთი წერილების გამოქვეყნებას შემდეგ, რომლებიც ესტერაზის მიუწერია ერთი თავის ახლობელ ნაცნობ მანდილოსანისათვის.

ამ წერილებში ესტერაზი ხატავს რა თავის უმწვერვალეს ზიზღს ფრანგებისადმი, ამბობს, რომ ის დიდი სიამოვნებით დაესწრებოდა ასი ათასი ფრანგის გაჟლეტას და რომ თავათაც მონაწილეობას მიიღებდა ამ გაჟლეტაში. კაცი, რომელსაც ასე შეზიზღებია რომელიმე ხალხი, შორს არ არის რომ



მოღალატეობა ჩაიდინოს და თუ ესტერაზი მოღალატე არ არის „მოღალატის ხალათი მაინც აცვია" როგორც თქვა ზოლამ. ამას გარდა, ეს კი, რასაკვირველია, უმთავრესია, დავთრის ხელი იმდენათ წააგავს ესტერაზის ნაწერს, რომ მათი ერთი მეორესაგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია; და თვით ესტერაზიმ აღიარა, რომ მზგავსება ამ დოკუმენტის და მის ნაწერს შორის საოცარიაო. მაშინ როდესაც დრეიფუსი დამნაშავეთ იქნა ცნობილი იმიტომ, რომ ამის დაწერას აბრალებდენ; და ხუთ ექსპერტთა შორის, ორმა ის აზრი წარმოთქვა, რომ ეს ხელი არ არის დრეიფუსისო. ამას გარდა ასახელებენ რაღაც საიდუმლო წერილებს, რომლების თანახმათ ვითომც დრეიფუსი ცნობილი იქმნა დამნაშავეთ. მაგრამ ეს საიდუმლო წერილები არ უნახავს დრეიფუსის ვექილს. მაშინ როდესაც თანახმათ კანონებისა, მსაჯულები ვალდებული იყვენ ეჩვენებინათ დამცველისათვის ყველა ის საბუთები, რაზედაც ისინი ამყარებდენ თავის რწმუნებას დრეიფუსის დანაშაულობაზე... მაშასადამე ამ შემთხვევაში შელახულია კანონი, კაცის უფლება თავის დაცვისა... ასეთი საქციელი საშუალო საუკუნის გასამართლებას შეეფერება და არა თანამედროვე საფრანგეთს, რომლის დევიზია ძმობა, ერთობა, თანასწორობა. და თუ ეს საიდუმლო ქაღალდები არ არსებობს, მაშინ დრეიფუსი გასამართლებული იყო მხოლოთ თანახმათ დავთრისა; და დავთარი კი მის ხელს არ წააგავს.



31

ყველა ეს დიდ ეჭვს ბადებდა საზოგადოებაში დრეიფუსის შესახებ, და ამიტომ საზოგადოების ერთი ნაწილი თხოულობდა, რომ საქმე ხელ-მეორეთ გადაშინჯულიყო. მართებლობას კი სურდა, რომ ეს საქმე ჩაჩუმებულიყო, ბევრს ხერხს მიმართა, და როდესაც გაუჭირდა საქმე, სამხედრო მინისტრის პირით ტრიბუნიდან ფიცავდა, რომ დრეიფუსი კანონიერათ და სამართლიანათ არის დასჯილიო. იკმარეთ და ჯარის სახელს ნუ შელახავთო, თითქოს ესტერაზი იყვეს საფრანგეთის ჯარის პატივის და სახელის განხორციელება. მაგრამ ფიცი, თუნდაც მინისტრის, საკმარისი არ იყო, და ამიტომ საქმეც გამოძიებას გადასცეს. საქმის გამოძიებისათვის გადაცემამ გამოიწვია სტუდენტებთა მანიფესტაცია. ეს სტუდენტები უცხადებდენ ზიზღს შესტნერ-კესტნერს, იმ კაცს, რომელმაც უმთავრესათ აღძრა საქმე და მოისურვა რომ საქმე ხელ მეორეთ გადაშინჯულიყო და მით ჭეშმარიტება გამორკვეულიყო. ცხადია, ეს მანიფესტაცია მიმართული იყო წინააღმდეგ სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისა. განა სამწუხარო არ არის, როდესაც ხედავ მოზარდ თაობას, რომლის გული ჯერ კიდევ არ დაუხავსებია ცხოვრების მძიმე პირობებს, ქუჩა ქუჩა მოხეტიალეს ძახილით à bas შესტნერ — ე. ი. ძირს სამართლიანობაო? მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ სტუდენტს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია თავის ამხანაგთა უმგვანო საქციელში. მათმა მანიფესტაციამ გამოიწვია წერილი ზოლასი, სადაც ეს, ახსენებდა რა ახალგაზდობას მის მოვალეობას, კიცხავდა მის საქციელს და თანაც ეუბნებოდა თუ რამდენათ ძვირათ დაუჯდა ძველ თაობას რესპუბლიკის დაარსება და სხ.

რაც უფრო ახლოვდებოდა დანიშნული დღე საქმის გარჩევისა, (10 იანვარს) იმდენათ საზოგადოებას მეტი აღელვება და შფოთვა ეტყობოდა, და ეს კი იმიტომ, რომ როგორც მთავრობის გაზეთები იუწყებოდენ, საქმე უნდა გარჩეულიყო ისევ საიდუმლოთ, საზოგადოების თანადაუსწრებლათ, ჩუმათ, მალულათ; — სწორეთ ასეთმა საქმის გარჩევამ დაჰბადა ის გაუთავებელი ლაპარაკი დრეიფუსის შესახებ, და ეხლა კიდევ მთავრობას გადაუწყვეტია ხელ-მეორეთ საქმის გამოძიება საიდუმლოთ. მიზეზათ კი იმას ასახელებს, რომ საზოგადოების თანადასწრებით საქმის გარჩევა საზიანო არის, რადგან ამ საქმეს შეუძლია გამოიწვიოს უსიამოვნება და ჩხუბი ერთ-ერთ სახელმწიფოსთანაო (იგულისხმე გერმანია). მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი თავის გაზეთების საშუალებით აცხადებს მის სიამოვნებას, თუ საქმე გაირჩევა საზოგადოების თანადასწრებით. მაგრამ მთავრობამ თავისი გაიტანა და საქმე წარმოებდა საიდუმლოთ. ყველაზე გასაოცარი კი ამ საქმეში ის არის, რომ მთავრობის უმაღლესი პირები რაც ძალი და ღონე აქვთ იცავენ ესტერჰაზის და თავის მოწყალების კალთას აფარებენ მას.

მაშასადამე მთავრობა ერთს კაცს ექომაგება, უნდა მშრალათ გაიყვანოს მეორე ნაპირზედ, და მეორეს კი ლაპარაკის და თავის დაცვის ნებასაც არ აძლევს; და ეს ამბავი ხდება იმ საზოგადოებაში რომლის დევიზი: ძმობა, თავისუფლება და თანასწორობა ანათებს 1789 წ.წ. დიდი რევოლიუციის შემდეგ. თუმცა დრო გამოშვებით კი, მაგრამ ერთხელ გამოჭრილ ფორმულას, თუნდაც ისეთი მომხიბლავი და წარმტაცი იყვეს, როგორც ზემოთ მოყვანილი, ბევრჯელ გასავალი არ ჰქონებია. და ახლანდელ საფრანგეთის ცხოვრებაში, სადაც ბურჟუაზია ასე გაბატონებულა, კიდევ ღრმათ ჰქონებია გადგმული ფესვი იმ ძალას, რომელსაც ძალ-მომრეობა ჰქვია და რომელიც სხვის უფლებას და ბედნიერებას ზოგიერთა რჩეულთა სარგებლობას ანაცვალებს. ასე რომ საფრანგეთის მთავრობას თავისუფლათ შეეძლო რომ ყველა საზოგადო დაწესებულებაზე არ მოეწერა დიდი ასოებით: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. ან რა მოხელეა კედლებზე მიწერილი სიტყვები, თუ მას, რასაც ის სიტყვები ხატავს, ე. ი. მის აზრს, გასავალი არ ექნება ცხოვრებაში. როგორც ხედავს მკითხველი დრეიფუსის საქმეს საზოგადო ხასიათი აქვს და მით აიხსნება ამდენი შფოთვა და ღელვა. ნამდვილი მამულიშვილები ხედვენ, რომ მთავრობა დრეიფუსს ნებას არ აძლევს თავის დაცვისას და პირში ჩალას ჩრის, ამით ძალ-მომრეობის პრინციპი შეაქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში, და თუ დღეს დრეიფუსია მსხვერპლი ასეთი ძალ-მომრეობისა, ადვილათ შეიძლება ხვალ სხვა გახდეს და მერე კიდევ სხვა. აი რატომ შეშფოთდენ ისინი, ვინც თავისუფლებას ძვირათ აფასებენ, და რომლებთაც ძვირათ აქვთ ნაყიდი ეს თავისუფლება და სწორეთ ამიტომ მოიპოვა დრეიფუსმა ბევრის გულში თანაგრძნობა... და თუმცა ეს საქმე ახლა გარჩეულია, მაგრამ რადგანაც გარჩევა წარმოებდა ცალ-მხრივათ და ისიც ჩუმათ და ნამალევათ, ამიტომ ეს საქმე ჯერ კიდევ არ გათავდება და მთავრობამ რაც უნდა მოინდომოს, საბოლოოთ თავისას ვერ გაიტანს; ასე რომ ადრე იქნება თუ გვიან ეს საქმე მთელათ გამოირკვევა...

— X. —

პარიჟი.

P. S. ეხლახან გაზეთებში გამოაქვეყნეს ემილ-ზოლას წერილი, რომელიც მას მიურთმევია რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის. ამ წერილში ზოლა პირ-

ველათ იხსენიებს ქება-დიდებით პრეზიდენტს ფელიქს ფორს, რომლის სახელი უმაღლეს აპოთეოზამდის არის ასული საფრანგეთის რუსეთთან შეკავშირების გამო, თან დასძენს, რომ „ამ შენ გაბრწყინებულ სახელს ტალახი ეცხება, და ეს ტალახი კი დრეიფუსის საქმეაო“. ისტორია დასწერს, თუ რა დიდი ბოროტმოქმედება მოხდა თქვენ პრეზიდენტობის დროსაო. მერე მოკლეთ ჰყვება დრეიფუსის საქმეს, აცხადებს, რომ ის სრულიათ დარწმუნებულია დრეიფუსის სიმართლეში და თანაც ბრალსა სდებს, სამხედრო მინისტრ ბილიოს, საფრანგეთის ჯარის უფროს ბუასდეფრს და სამ-ოთხს კიდევ... აი ვის უძგერს ნამდვილი მამულიშვილური გული, აი ვინ ყოფილა ნამდვილი ჭეშმარიტების მოყვარული... აი სწორეთ ნამდვილი გაბედაობა...

ამას ზოლა დასძენს, რომ თუ უნდათ ის (ზოლა) ციხეში ჩასვან, ოღონდ საქმე წესიერათ გამოიძიონ... როგორც ხედავს მკითხველი, ეს დრეიფუსის საქმე ჯერ კიდევ არ გათავებულა და, სამწუხაროთ, კიდევ კარგ ხანს გასტანს.

—X.—

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა.

3. მრეწველობა.

ამნაირათ, მთელი ამიერ-კავკასიის სივრცეზე დღეს აურაცხელი საქონელი მოძრაობს. თუ ამ საქონლის მოძრაობაზე ჩვენ კიდევ არა გვაქვს სრული ცნობები, თვით საქონლის წარმოება ჩვენში ამ მხრით კიდევ უფრო სამწუხარო მდგომარეობაშია: ამის შესახებ ჩვენ არა თუ ღარიბი ვართ ცნობებით, არამედ ის თითო ოროლა სტატისტიკური ცნობებიც, რომლებიც ოფიციალურ გამოცემებში მოიპოვებიან, დიდი სიფრთხილით უნდა იქმნან მიღებულნი. [1]) მეორე მხრით, ლაპარაკი არ უნდა, რომ საქონლის წარმოების შესწავლა, მისი ასეთი თუ ისეთი პირობების დაახლოვებით ცოდნა, ყველაზე უფრო დიდი ყურადღების ღირსია. ჩვენში დიდი ხნიდან გავრცელებულია ის აზრი, რომ ამიერ-კავკასია მიწათ-მოქმედი კუთხე არისო. ამ ათი-თხუთმეტი წლის წინეთ, ეს მართლაც ასე იყო; შეიძლება რამდენიმე პატარა კუნჭულებისთვის ეს დღესაც მართალია; მაგრამ საერთოთ მთელი ამიერ-კავკასია დღეს უფრო სამრეწველო ქვეყანაა, ვინემ სამიწათ-მოქმედო. აქ ადგილი ნებას არ გვაძლევს, მოვიყვანოთ ცნობები ერთი მხრით იმის შესახებ, თუ შედარებით როგორ მცირდება ჩვენში პურის მოყვანა, და მეორე მხრით, როგორ თანდათან იზრდება მრეწველობა. ამასთანავე ყველასათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ თუ ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ პურის გატანა კლებულობს, იმავე დროს რუსეთის პურის შემოტანა ჩვენში დღითი დღე მატულობს.

ჩვენ აქ წარვუდგენთ მკითხველს რამდენსამე ცნობებს ამიერ-კავკასიის მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობაზე, რამდენათაც არსებული მასალა ნებას მოგვცემს. წინდაწინვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი ეს მრეწველობა ამ უკანასკნელი ოცი-ოცდახუთი წლის საქმეა. [1])

[1]) აი ამის მაგალითი. 1893 წლის „კავკასიის კალენდარში“ მოყვანილია ცნობები (გვ. 90—1) ამიერ-კავკასიის ფაბრიკებზე და ქარხნებზე. სხვათა შორის ჩითასხოვის ბამბის საქსოვ ფაბრიკაზე, რომელიც თფილისში არსებობს 1870 წლიდან, იქ ნათქვამია, რომ 1891 წ. ამ ფაბრიკაში მუშაობდა 401 კაცი, რომლებიც წლის განმავლობაში ამზადებდენ 35,000 მანეთის საქონელს. აქედან გამოდის, რომ მუშათანა რიცხვით ერთ მუშას წლის განმავლობაში მხოლოთ 86 მანეთის საქმე გაუკეთებია, ე. ი. თავის დღიური ქირაც ვერ მოუმუშავებია! ალბათ დანარჩენს ფაბრიკანტი თავის ჯიბიდან აძლევდა მათ! საბრალო ფაბრიკანტოვო, წამოიძახებთ თქვენ! მაგრამ მოითმინეთ ცოტა. ჩვენ წინ ძევს მეორე წიგნი, ბ-ნ ს. გულიშამბაროვის სინიდისიერი გამოკვლევა: „Обзоръ фабрики и заводовъ тифлисской губерніи“. გულიშამბაროვის გამოკვლევით, 1886 წელს ჩითასხოვის ფაბრიკაში მუშაობდა 380 კაცი, რომლებიც წლის განმავლობაში ამზადებდენ 500,000 მანეთის საქონელს, ე. ი. თითო მუშა აკეთებდა 1,315 მანეთის საქმეს, რასაკვირველია, ნედლი მასალის ფასი და წარმოების იარაღების დირებულებაც რომ მხედველობაში მივიღოთ. მაგრამ რაც უნდა იყოს, სად 86 მანეთი და სად 1,315.

მართალია, კავკასიის კალენდრის ცნობა 1891 წელს ეკუთვნის და ბ-ნ გულიშამბაროვისა კი 1886 წელს, მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვერწმუნოთ იმას, რომ ჩითასხოვის ფაბრიკაში ამ ხნის განმავლობაში მუშების რიცხვმა იმატა, წარმოებამ კი იკლო; პირიქით, წინააღმდეგი უფრო დასაჯერებელი იქნებოდა.

[1]) საინტერესოა ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიაში პირველი ფაბრიკის დაარსების აზრი კერძო პირს კი არ ეკუთვნის, არამედ მთავრობას. ასე რომ 1803 წელს თავად პ. ციციანოვმა, მაშინდელმა გამგებ საქართველოისამ, განიზრახა პირველათ თფილისში მაუდის ფაბრიკის გახსნა, მაგრამ უმაღლესმა მთავრობამ ამის ნება არ მისცა. ციციანოვის განზრახვა რამდენიმეთ განხორციელდა მეორმოცე წლებში, როცა თ-დი ვარანცოვის დახმარებით თფილისის მაზრაში, სოფ. დრეში, ვიღაც ანდ-

სწორეთ ამ ათი წლის წინეთ, ე. ი. 1887 წელს, მთელი ამიერ-კავკასიის მრეწველობის (ფაბრიკული, ქარხნული და სამთო წარმოება), მდგომარეობა ოფიციალური წყაროების ცნობებით, შემდეგ სურათს წარმოადგენდა [1]:

| გუბერნიები. | ფაბრიკების და ქარხნების რიცხვი | წარმოების რაოდენობა მანეთებათ. | მუშების რიცხვი. |
|---|---|---|---|
| თფილისის [2]) | 1,543 | 4.944,737 | 6,107 |
| ქუთაისის | 610 | 5.237,254 | 6,208 |
| განჯის | 1,724 | 1.997,707 | 7,715 |
| ბაქოს | 1,075 | 20.410,228 | 5,768 |
| ერევნის | 563 | 432,239 | 2,388 |
| დაღესტნის | 1 | 69,000 | 100 |
| შავი ზღვის პირის საოლქო | 10 | 717,591 | 492 |
| სულ | 5,526 | 33,808,756 | 28,778 |

თუ შემდეგ წლებში რამდენათ იმატა მრეწველობამ, ამას გავიგებთ შემდეგი ცხრილიდან, რომლისათვის ცნობები ჩვენ სხვა-და-სხვა წყაროებიდან გამოვკრიბეთ. [3])

| გუბერნიები | წელიწადი | ფაბრიკების და ქარხნების რიცხვი | წარმოების რაოდენობა მანეთებათ | მუშების რიცხვი |
|---|---|---|---|---|
| თფილის. [1]) | 1894 | 1,500 | 4.500,000 | 12,500 |
| ქუთაისის [2]) | 1893 | 1,297 | 28.078,089 | 10,328 |
| განჯის | 1894 | 2,568 | 2.906,655 | 12,649 |
| ერევნის | 1894 | 4,117 | 1.752,578 | 8,480 |
| ყარსის | 1893 | 17 | 30,725 | 37 |
| ბაქოს | 1891 | 1,071 | 23.199,597 | 7,675 |
| დაღესტნის | 1894 | 70 | 297,434 | " |
| სულ [3]) | | 10,640 | 60.765,078 | 51,669 |

ამნაირათ მთელ ამიერ-კავკასიაში, თფილისის გუბერნიას გარდა, რომლის შესახებ ცნობები მეტათ საეჭვოა, ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში მრეწველობა შესამჩნევათ გაზდილა, მაგრამ უმეტესათ კი ქუთაისის გუბერნიაში, სადაც 5 მილიონიდან 1887 წელს 1893 წელს იგი 28 მილიონს გადაცილებია. საერთო წარმოების მატება ამ ხანში 26.956,322 მანეთით გამოიხატება, ე. ი. მთელ ამიერ-კავკასიის მრეწველობას სულ რაღაც ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაშია 79,43% უმატია. ამავე ხნის განმავლობაში ფაბრიკების და ქარხნების მუშების რიცხვი 28,778-დან 51,669 ასულა, ე. ი. მუშების რიცხვსაც თითქმის იმავე პროცენტით (79,56%, განსხვავება=0,13%) უმატია, როგორც მთელი წარმოების საერთო ღირებულებას. მაგრამ ასეთი დასკვნა ჭეშმარიტებასთან ახლო არ არის.

როგორც ვიცით, ჩვენში, ე. ი. ამიერ-კავკასიაში, მრეწველობა მოკლებულია ჯეროვან ზემხედვე-

რეევსკიმ გახსნა მაუდის ფაბრიკა, რომელსაც დიდი ხანი არ უცოცხლია. საზოგადოთ მთავრობა იმ ხანებშიაც დიდ დახმარებას უჩენდა მრეწველობის ადორმინებას, მაგრამ სანამ კერძო შეძლე და გამოცდილი პირები არ გამოვიდენ სამრეწველო ასპარეზზე, მანამ ამიერ-კავკასიაში მრეწველობამ ფესი ვერ მოიკიდა.

[1]) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სამთო მრეწველობა მხედველობაში მიღებულია მხოლოთ ბაქოს გუბერნიისა.

[2]) ბ-ნ გულიშამბაროვის ცნობით, 1886 წ. თფილისის გუბერნიაში სულ 253 ქარხანა და ფაბრიკა იყო 3,800 მუშით და 4.725,791 მანეთის წარმოებით. იხ. მისი „Обзоръ", გვ. 229. ასეთი წინააღმდეგობა ქარხნების და ფაბრიკების რიცხვში იქიდან წარმოდგება, რომ სხვა-და-სხვა ნაირათ ესმისთ ტერმინები: ფაბრიკა და ქარხანა.

[3]) ვინაიდან ჩვენ ვერსად ვიპოვეთ ყველა გუბერნიების ანგარიში ერთი წლისთვის, ამიტომ სხვა-და-სხვა წლების ანგარიშით ვისარგებლეთ.

[1]) აქედან გამოდის, რომ თფილისის გუბერნიაში 1894 წელს მრეწველობას 1887 წელთან შედარებით უკლია და იმავე დროს მუშების რიცხვს კი უმატია, რაც დასაჯერებელი არ არის.

[2]) ფაბრიკების და ზავოდების რიცხვში აქ არ შედის 723 სპირტის სახადი ზავოდი. რაც შეეხება მუშების რიცხვს, ჩვენ აქ მიღებული გვაქვს სამთო მრეწველობის მუშებიც. მაგრამ წარმოების რაოდენობის აღრიცხვაში სამთო მრეწველობა არ არის შეტანილი.

[3]) გარდა შავი ზღვის პირის საოლქოსი, დღეს შავი ზღვის პირის გუბერნიისა, რომლის ცნობები ვერსად ვიპოვეთ.

ლობას, ინსპექციას, თითქმის იმ ზემხედველობასაც, რომელიც რუსეთის სხვა სამრეწველო გუბერნიებში არსებობს. ამის გამო ამიერ-კავკასიაში ცნობების შეკრება მრეწველობის შესახებ უმრავლეს შემთხვევაში პოლიციაზე ჰკიდია. თქვენ წარმოიდგინეთ რა შედეგი ექნება ასეთ გარემოებას. კაპიტალისტები, საზოგადოთ თავაწეულნი და ამპარტავანნი, ერთობ ისაწყლებენ და იმდაბლებენ თავს მთავრობის წინაშე, როცა ეს უკანასკნელი გადასახადს ადებს იმათ ქონებას. როცა პოლიცია თხოულობს მათგან ცნობებს, ისინი (ფაბრიკანტები და მექარხნეები) მარტო გადასახადზე ჰფიქრობენ. ამიტომ ცხადია, თუ რათ ამცირებენ ისინი წარმოების რაოდენობას. რაც შეეხება მუშების რიცხვს, ამის დამალვა უფრო საძნელოც არის, და მეორე მხრით ამის დამალვა არც საჭიროა. 1) ამიტომ ჩვენი მოსაზრებით, მთელი მრეწველობითი წარმოების საერთო რაოდენობა ამიერ-კავკასიაში დღეს ბევრათ აღემატება 60 მილიონს. რაც შეხეება მუშების რიცხვს, იგი რასაკვირველია, მატულობს საზოგადოთ, აბსოლიუტურათ, მაგრამ წარმოების გადიდებასთან შედარებით, იგი მუდამ კლებულობს; ასეთია კაპიტალისტური წარმოების კანონი.

საჭიროთ ვთვლი შევნიშნო, რომ მუშების საერთო რიცხვში, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, არ შედიან ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშები, და არც იმათი წარმოების ღირებულებაა იქ მიღებული. რომ რკინის გზის საქმე დღეს ჩვენში ვეებერთელა წარმოებაა, ეს ყველასთვის ცხადია. რკინის გზა საზოგადოთ საჭიროებს აურაცხელ მუშა ხელში. რკინის გზის მუშები ორ კატეგორიათ არიან დაყოფილნი: ერთი ნაწილი რკინის გზის ქარხნებში, სახელოსნოებში, მუდამ მუშაობს, მეორე კი დრო გამოშვებით. ამიერ-კავკასიის უმთავრესი ქარხნები და სახელოსნოები არსებობენ თბილისში, რომლებშიაც 1890 წელს დაახლოვებით 2,158 მუდმივი მუშა ირიცხებოდა; 1895 წელს კი ეს რიცხვი უკვე 3,306 ავიდა.

ამნაირათ ამიერ-კავკასიის მრეწველობის კოლოსალური ზრდა ყოველ ეჭვს გარეშეა; ყოველ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ეს ზრდა ხდება მსხვილი წარმოების სასარგებლოთ და მხოლოთ მსხვილის, ვინაიდგან წვრილი წარმოება დღეს ისტორიულათ უარყოფილია. მაგრამ მივმართოთ ფაქტებს. ქუთაისის გუბერნიაში, როგორც ვიცით, 1893 წელს მთელი ფაბრიკული და ქარხნული წარმოება 28 მილიონ მანეთს გადაცილდა. მაგრამ ამ რიცხვში 26.600,000 მანეთის ღირებულებას მარტო ბათომის ქარხნები ამზადებდენ. თქვენ შეიძლება გეინტერესებათ, თუ რა არის ეს ბათომის ქარხნები? პრაქტიკამ დაარწმუნა ნავთის გამტანელები, რომ ამ საქონლის გადატანა ზღვაზე და შორეულ ქვეყნებში გავრცელება უფრო მოსახერხებელია ქესტის ან ხის ყუთებით, ვინემ სანავთე გემებით (наливные пароходы). პირველ ხანებში ამნაირ ყუთებს ბათომში უმეტეს ნაწილათ ხელოსნები, ანუ წვრილი მწარმოებელნი, აკეთებდენ. მაგრამ 1886 წლიდან ეს საქმე ერთბაშათ უვარდება ხელში მსხვილ მწარმოებლებს, რომლებიც აარსებენ უზარ მაზარ ქარხნებს, რომლებშიაც შემოღებულია გაუმჯობესებული სისტემა მაშინური წარმოებისა. პირველი ადგილი ბათომის ქარხნებში უჭირავს როტჩილდის ქარხანას, შემდეგ რიხნერისას და მანთაშოვისას. თუ ბათომიდან გამოვყვებით და თფილისში ჩამოვალთ, აქაც იმავე ფაქტებს ამოვაჩენთ, ე. ი. წვრილი წარმოების თანდათან გაქრობას, თუმც არა ისეთი სიჩქარით, როგორც ბათომში. ჩვენ ვიცით, თუ როგორ იკლო თფილისში 1876—87 წლებში ხელოსნების რიცხვმა. ამავე პროცესს ვამჩნევთ დღესაც. მაგრამ ხელოსნების რიცხვის შემცირება იმას კი არ ნიშნავს, რომ წარმოებაც მცირდება. პირიქით, წარმოება დიდდება, მასში მაშინური სისტემა იკიდებს თანდათან ფეხს, რომლის გვერდით წვრილი, ხელოსნური წარმოების არსებობა ყოვლად შეუძლებელია. რომელ სახელოსნოს შეუძლია დღეს მოციდეობა გაუწიოს ტყავეულობის და ნაბდეულობის წარმოებაში თუნდ მაგალითათ ადელხანოვის ფაბრიკას, რომელსაც გაუმჯობესებული იარაღების, მაშინების, ხმარება წარმოებაში ნებას აძლევს შედარებით ცოტა ხარჯით დიდი მასალა დაამუშაოს. ასევე ხდება მრეწველობის სხვა დარგშიაც, როგორც, მაგ; რკინეულობის და თუჯის წარმოებაში.

გადავიდეთ ახლა ბაქოზე, მაგრამ ვინ არ იცის რომ ნავთის სამეფოში მხოლოთ მსხვილ კაპიტალს აქვს ადგილი წარმოებაში. ყოველ შემთხვევაში, ამ მხრით იქაც ბევრ საინტერესო რასმეს გავიგებთ. ბ-ნი არღუთაშვილი—მხარგრძელი თავის გამოკვლევაში ამბობს: „ქარხნების რიცხვი (ბაქოს ნავთის ქარხნებზეა ლაპარაკი) ყოველ წლივ მცირდება... ეს აიხსნება მსხვილ წარმოების განკითარებით. დიდი კაპიტალის ხმარება ბევრათ ამცირებს წარმოების ხარჯს და ბაზარზე წვრილი კაპიტალისტები ვერ უძლებენ

1) აქედან აიხსნება ის გარემოება, რომ 1891 წელს ჩითახოვის ძმების საქსოვ ფაბრიკაში ერთი წლის განმავლობაში ყოველ წელს 404 კაცი მუშაობდა და წლიური ნაწარმოების რაოდენობა კი მხოლოთ 35,000 მანეთს შეადგენდა!

მსხვილების მოცილეობას, რომლებსაც საშუალება აქვთ განაგრძონ წარმოება, როცა ფასი დაცემულია, ვინაიდან ისინი ამ შემთხვევაშიაც საკმარისათ იგებენ“. ჩვენ მოგვყავს აქ პატარა ცხრილი, რომელიც ერთი მხრით გვიმტკიცებს ქარხნების რიცხვის თანდათან შემცირებას, და მეორე მხრით თუ რა გავლენა ჰქონდა ამ შემცირებას წარმოების რაოდენობაზე.

| წ ლ ე ბ ი | რიცხვი ქარხნებისა | ნაწარმოები ნავთის რაოდენობა ფუთებათ |
|---|---|---|
| 1889 | 161 | 205 მილიონი |
| 1890 | 97 | 239 — — |
| 1891 | 90 | 289 — — |
| 1892 | 88 | 298 — — |
| 1893 | 67 | 337 — — |
| 1894 | 63 | 309 — — |

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ თუმც ქარხნების რიცხვს ხუთი წლის განმავლობაში, 155,55% დაუკლია, მაგრამ იმავე წლის განმავლობაში, თუ ორი უკანასკნელი წლების შუათანა რიცხვს მივიღებთ, ნავთის წარმოებას 57,56% უმატია. საინტერესოა კიდევ აქ ის გარემოება, რომ 1889 წელს იმ ქარხნების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე ნაკლებს ამზადებენ, 93 იყო, 1894 წელს კი მხოლოთ 15. ამნაირათ წვრილი ქარხნების რიცხვი დღითი-დღე კლებულობს, კლებულობს აგრეთვე წვრილი წარმოების მნიშვნელობაც ნავთის საქმეში. და საზოგადოთ 1893 წელს შემდეგ, როცა პეტერბურგში შედგა ეგრეთ წოდებული „საერთო კავშირი ბაქოს ნავთის მწარმოებელთა“ (общій союзъ бакинскихъ керосино-заводчиковъ) ბაქოს ნავთის გატანა და გასაღება საგარეო ბაზარზე სამი უდიდესი მწარმოებლის ხელშია, სახელდობ: როტჩილდის, ნობელის და ეგრეთ წოდებულ „ბაქოს სტანდარტისა“ (Бакинскій стандартъ) [1]).

ამნაირათ ზევით მოყვანილ ცნობებიდან, რომლებიც პირდაპირ ოფიციალური წყაროებიდან არიან ამოღებულნი, ჩვენ ვგონებთ, მკითხველი შემდეგ დასკვნას გამოიყვანს: ამ უკანასკნელ დროს შესანიშნავათ იზრდება ამიერ-კავკასიის საწარმოვო ძალა. ეს დასკვნა შეიძლება კიდევ ასე გამოვხატოთ: ერთი მხრით კოლოსალური ზრდა ალებ-მიცემობისა და მრეწველობისა და მეორე მხრით ყოველ ფეხის ნაბიჯზე მსხვილი წარმოების გამარჯვება წვრილ წარმოებაზე.—ასეთია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური მიმართულება. მაგრამ ეს მხოლოთ ერთი მხარე საქმის ვითარებისა. ამის მეორე მხარეს, ზევრათ უფრო საინტერესოს, ე. ი. იმას, თუ კაპიტალისტური წარმოების პირობებმა როგორ დაჰყვეს ძველი პატრიალქალურ-წოდებრივი საზოგადოება და უმეტესათ თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში მუშა ხალხი, რომლის მარჯვენამ შექმნა ეს ვეებერთელა კაპიტალისტური სიმდიდრე,—ვიმეორებთ ყოველსავე ამას ჩვენ ამ წერილში არ შევხებივართ. იმედი გვაქვს ახლო მომავალში დავუბრუნდეთ ამ საინტერესო საგანს.

ფ. მახარაძე.

—

1) ეს ,,სტანდარტი‘‘ ამხანაგობაა, რომლის წევრები უმეტეს ნაწილათ შედარებით უფრო წვრილი მწარმოებელნი არიან.

ამ სტატიის წყაროები:


1) Кавказскій календарь за 1880, 1881, 1889, 1890, 1893, 1895 და 1896 წლების.

2) Краткій очеркъ экономическаго положенія Кавказа, подъ ред. Кондратенко, Тифлисъ, 1888 г.

3) А. Аргутинскій-Долгоруковъ. Исторія сооруженія и эксплоатаціи закавказской желѣзной дороги. Тифлисъ, 1896 г.

4) С. Гулишамбаровъ. Обзоръ фабрикъ и заводовъ Тифлисской Губерніи, Тифлисъ, 1888 г.

5) А. Макаровъ. Закавказье въ торговомъ отношеніи. Москва, 1884 г.

6) Статистическія свѣдѣнія о внѣшней торговлѣ Россіи. Изданіе департамента тамож. сборовъ. СПБ. 1896 г.

7) ინგლისის ელჩის ანგარიში 1890 და 1895 წლისათვის.

8) Газ. Кавказъ, за 1874, № 32.

9) Газ. Новое Обозрѣніе, № 4792.


## მგზავრის შენიშვნები.

ყავახანა. შევიდეთ აქ სასადილოთ გინდ სავახშმოთ, მოვუჯდეთ სტოლს და მოვითხოვოთ საჭმელების ქარტა. მოვა ახალგაზდა ქალი, მოთხოვილ ქარტას წინ სტოლზე დაგიდებსთ და ცქრიალა—მოცინარი სახით მოგესალმებათ. კარსეტში გამოსხარტულია, კაბა მოდაზე აცვია, წინ თეთრი „ფართუკი“ აფარია, მხარზე საკვოიაჟი ჰკიდია, წელზე გრეხილით ანგარიშის წიგნაკი ეპროწიალება, თმაში ყარანდაში ურჭვია. თმა ოდნავ შუბლზე გადმოუშვია,—ეს, როგორც იცით, ქალების ფაფარია. თმა ევროპიულათ დავარცხნილი აქვს, კეფაზე უკან გადაშვებული, იქ დახვეული და „შპილკებით“ დამაგრე-

ბული. სახე დაბანილი, სუფთა, ლამაზი და, რაც თავი საქმეა, მოღიმარი. ახედ-დახედეთ,—ქალია და ქალი, ლამაზი და ლამაზათ გამოწყობილი გასათხოვარი ქალი. აიღებთ ქარტას, არჩევთ საჭმელს. ისიც თქვენ ახლოს მოდის, თქვენ სკამზე ან მხარზე ხელსა დებს, თვითონ თქვენკენ ეყრდნობა... მისი სულის თქმა გესმისთ, ახლოს არის, სულ ახლოს, მკლავი ხვდება, ეკარება... იბნევით... ქარტა ხელიდან გივარდებათ, ტანში რაღაც აგივლ-ჩაგივლისთ, გული ცემას უმატებს,—ეს იმიტომ რომ ჯერ კიდევ ხამი ხართ, არ იცნობთ აქაურობას, ის ისევ გიცინისთ და იღიმება-მუდამ იღიმება... „რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო, რომ მოგართვავო?“ დაგეკითხებათ. როგორც იქნება, გონს მოხვალთ, დაუკვეთთ, რაც გსურთ, და ისიც გშორდებათ, მირბის მოსართმევათ.

ეს არის ყავახანის „ბარიშნა“, Fräulein და მისი ტიტული Kelnerin-ია. თითოეულ ყავახანას რამდენიმე კელნერინი ჰყავს, ხუთი, ათი, თხუთმეტი და მეტიც. ეს ყავახანის სიდიდეზეა დამოკიდებული. თუ ყავახანა დიდია და ხალხი ბევრი დადის, იქ ესენიც ბევრნი არიან. თითოეულ მათგანს განსაზღვრული სტოლები აქვს მიჩენილი ყავახანაში. შემოდის ვინმე, უჯდება სტოლს,—მასთან მიდის სასამსახუროთ ის კელნერინი, რომელსაც ეს სტოლი აქვს მიჩენილი. ჩვეულებრივ თითოეული დაახლოვებით 5–10 სტოლს უვლის.

მარა ქალის ყავახანაში გაცნობა როგორ შეიძლება? იტყვის მკითხველი. ერთი-ორიოდ ყავახანაში მოსამსახურექალის გაცნობით როგორ შეიძლება საზოგადოთ ქალებზე აზრის შედგენა? შეიძლება. მიუნხენში ერთი და ორი ყავახანა როდია,—მთელი მიუნხენი, თუ გნებავთ, „ერთი დიდი ყავახანაა“, ყოველ ფეხის გადადგმაზე აქ ყავახანაა გამოჭიმული. ყავახანებს ხომ მოსამსახურეები ეჭირვებათ და ეს მოსამსახურეები სულ ქალები არიან. მამაკაცს აქ ვერ ნახავთ ყავახანის ლაქიათ. კელნერინი იგივე ყავახანის ლაქიაა აქედან მკითხველი მიხვდება, რომ კელნერინთა რიცხვი მიუნხენში ცოტა არაა. ამის ნამდვილათ მაჩვენებელ სტატისტიკურ ცნობებს ვერ მივაგენი, ამიტომ არც შემიძლია გითხრათ მათი ნამდვილი რაოდენობა, მხოლოთ ეს კი ვიცი, რომ ძალიან ბევრია.

ქართველ მკითხველს უეჭველათ გაუკვირდება აქაური მშობლების „დაუდევრობა“... „უთუოდ ეს ქალები უპატრონო არიანო“, იტყვის ის. არა, უპატრონონი არ არიან. მათ მშობლებიც ჰყავთ და ნათესავებიც, მეგობრები და ნაცნობნიც. „პატრონობა“ აქ ჩვენებურათ არ ესმით. აქ ქალი ოჯახში არ არის დაბმული. ევროპის ცხოვრების განვითარებამ ძველებური პატრიარქალური ოჯახი დაანგრია, ძველებური ოჯახური კარჩაკეტილობა მოსპო. ქალი ოთხ კედელს გამოაშორა, გარეთ გამოიყვანა. შინ ჯდომისთვის ქალს ფულს არავინ მისცემს და აქ ფული—ყველაფერია. უნდა გამოვიდეს, უნდა იშრომოს და ფული მოიპოვოს. კელნერინობაც ფულის მოპოვებისთვის ერთ-ერთი სახსარია.

კელნერინს ჯამაგირი არ ეძლევა, იგი უჯამაგიროთ მსახურობს. მისი შემოსავალი, მისი ჯამაგირი სტუმრების ნაჩუქარი ფულია. ვინც ყავახანაში შედის, სვამს თუ ჭამს რასმეს, ნახარჯის გასწორების დროს კელნერინს ცალკე მისცემს საჩუქარს. ეს საჩუქარი კელნერინის საკუთრებაა. ბევრის ჩუქება არაა ჩვეულებათ,—სამიდან ათ პფენინგამდე ანუ ჩვენ ფულზე ორი კაპეიკიდან ერთ შაურამდე. თუმცა ეს ცოტაა, მარა კელნერინს დღიურათ ასე შაურობით კარგა ბლომა ფული შეუდგება. ვთქვათ, ერთი დღის განმავლობაში კელნერინი ორას კაცს ემსახურა,—ეს ბევრი არაა, ხშირათ მეტსაც ემსახურება. ორასი შაური კი კაი ერთ თუმანს შეადგენს, და დღიურათ თუმანი კი არა, თუმნის ნახევარიც დიდი ფულია.

ამ გვარათ კელნერინი ფულიანი ქალია და ამის გამო დამოუკიდებელი ადამიანი. მას აღარ ჭირდება დედ-მამას ეხვეწოს, ემუდაროს, კაბა მიყიდეთ, ან შლიაპა, ან ფეხსაცმელიო. ყველა ამას ის თვისი მონაგარით ისრულებს; ამასთან, პირ იქით, დედ-მამასაც ეხმარება. უფრო კი, რასაკვირველია, თავის თავს. ის ყიდულობს ახალ მოდის კაბებს, შლიაპებს, ხელთათმანებს, ქოლგებს, ფეხსაცმლებს, ბეჭდებს და სხვა ამისთანებს. ერთი სიტყვით ესტეტიკას მისდევს. ამიტომ კელნერინს მუდამ აქვს ნაირ-ნაირი კაბები. დღეს ერთნაირი აცვია, ხვალ—მეორე ნაირი. ყავახანაში ერთი, ყავახანის გარეთ მეორე.

მხოლოთ გარეთ სასიარულოთ, სასეირნოთ კელნერინს ძალიან ცოტა დრო აქვს და მისი სადარდელი საგანიც ერთათ ერთი ესაა. მთელი მისი დრო ყავახანაში სამსახურს უნდება. ყავახანაში ის მიდის დილას ადრე, 7 საათზე. ამ დროიდან დაწყებული ნაშუაღამევის ორ საათამდის იქ უნდა დარჩეს და სტუმრებს ემსახუროს. მისი სამსახური სტუმრებისთვის სასმელ-საჭმელის მირთმევა და მათი გართობაა „Fräulein! ლუდი.“ გაისმის ერთ სტოლზე, Fräulein! ყავა!“ მეორეზე. „Fräulein! მშია!“ მესამეზე. სულ ფროილაინ და ფროილაინ. კელნერინიც ციბრუტივით ტრიალებს, ხან ერთთან მივა ხან მეორესთან, ყველას უცინის, ყველას ესიყვარულება. ერთთან ამბავს დაიწყებს, მეორესთან განაგრძობს, მესამესთან დაათავებს. ზოგთან ლუდი მიაქვს, ზოგთან ხონჩით ყავა, ზოგთან საჭმლები... და ყველა

ეს სწრაფათ, მოხდენილათ, ლამაზათ. მან ზედმიწევნით იცის თავისი საქმე. ერთ და იმავე დროს ხელში ლუდის ჭიქებიც უჭერია, ყავის ფინჯანიც, წყლით სავსე ჭიქაც და საჭმლით დატვირთული თეფშიც. მას არც ერთი ხელიდან არ გავარდება, არ დაემტვრევა, არც დაეღვრება. რაც თქვენია, თქვენ სტოლზე ტოვებს, „გაამოსო“, გეუბნებათ და გარბის მეორესთან, იქიდან კიდევ სხვასთან. ერთი სიტყვით სულ ტრიალშია, სულ მოძრაობაშია.

ეს არის მისი უმთავრესი საქმე. რაც შეეხება ჭურჭლების რეცხას, იატაკის გვას და სხვა ამისთანა ,,შავ მუშაობას“, ეს მისი საქმე არაა, ამისთვის სხვა ,,დაბალი ჩინები“ არიან. კელნერინი სამზარეულოშიაც კი არ შედის. ის მივა კარებთან, მოხევს თავის წიგნაკს ერთ ფურცელს, დააწერს ზედ, რასაც მას თხოვენ, და გადასცემს მზარეულს. დამზადდება საჭმელი, მივა კიდევ კარებთან, მიიღებს მზარეულისაგან და მთხოვნელთან მიარბენინებს.

,,Fräulein!“ ისმის იქით-აქეთ. ,,zahlen!“—უნდა გაგისწორდეო. კელნერინიც მიეშურება, ერთი თვალის დახამხამებაზე ჩამოუთვლის დანახარჯს, შეუდგენს ჯამს, —აი ამდენიაო. მიღებულ ფულს საკვოიაჟში ჰყრის, წამსვლელს ხელსართმევს. ,,ნახვამდის, ჩემო ბატონოვო, მობრძანდით კვლავ, ნუ დაგვივიწყებთო“, ეუბნება, თან სახეში შეცქერის და იღიმება...

კელნერინის საქმე ძნელი არაა, მარა მოქანცული მაინც კია. მთელი დღე ფეხზე ტრიალი არც ისე ადვილი საქმეა. ამასთან ძილის და მოსვენებისთვის კელნერინს ძალიან ცოტა დრო აქვს. როგორც ვთქვით, იგი ნაშუაღამევის ორ საათამდის ყავახანაშია, ამ დრომდის ყავახანა არ იკეტება. მაშასადამე, კელნერინს ძილისთვის სულ რაღაც ოთხი თუ ხუთი საათი რჩება. ეს, რასაკვირველია, ცოტაა, მარა ამას მაინც ჰყოფნის, შეჩვეულია. ყავახანის დაკეტის დროს ის დაჯდება და მთელი დღის ნავაჭრს ანგარიშობს, წიგნში უწერია, თუ რამდენი რამ მიიღო მან სამზარეულოდან. აღგენს ჯამს, —ეს ყავახანის პატრონისთვის ჩასაბარებელი ფულია. დანარჩენი კი მისი საკუთრებაა. თავის ფულს ჯიბეში ჩაიჩხრიალებს, პატრონისას პატრონს ჩააბარებს, გაწმენდს ანგარიშს და შემდეგ სახლში წავა დასაძინებლათ. ზოგიერთ ყავახანებში კელნერინები ღამითაც იქ რჩებიან, იქ იძინებენ, მარა ეს ძალიან იშვიათათ. უმრავლესობა კი თავის მშობლების თუ ნათესავების სახლებში იძინებს და ყავახანებშიაც იქიდან დადის.

კელნერინს ძალიან მოწონს თავისი ცხოვრება და ბედის სრული კმაყოფილია. კმაყოფილია, რადგან მხიარულათ ატარებს დროებას. ყველა მას ეარშიყება, ეხუმრება, აცინებს, ამხიარულებს და ეს მას მოწონს, ძალიან მოწონს. სახე მოღრეჯილი, ჩაფიქრებული კაცი მას ეჯავრება. მოწყენა, დადარდიანება—ეს სიტყვები მის ლექსიკონში არ მოიპოვება. ისიც მხიარულობს და ამ მხიარულობაში ატარებს თავის ახალგაზდობას. რასთვინ მოვიწყინოვო, ამბობს ის, რა მაკლიაო? და მართლაც რა აკლია? ახალგაზდა, ლამაზი, ჯანღონით სავსე, მ[illegible]აობა არ ეზარება, შეუძლია და მუშაობს კიდეც. ფულს იგებს და ცხოვრობს თავისუფლათ, თავის ნებაზე, დამოუკიდებლათ. ქმარი არა ჰყავს? გაუთხოვარია და გათხოვება აღარდებს? ცდებით, ის ამაზე სულაც არ დარდობს. რასაკვირველია, ის წინააღმდეგი არაა, რომ ქმარს წაყვეს, მარა ქმრები აქ ძნელი საშოვრები არიან და ისიც აღარ იტეხს ამაზე თავს. კმაყოფილდება იმით, რაცა აქვს. მოარშიყე ხალხი მას მუდამ ახვევია. დღეში, მგონი, ოცი კაცისგან მოისმენს სიყვარულის გამოცხადებას. ის ამაზე არ წყრება, წინააღმდეგ, იამება კიდეც. ,,Fräulein!“ ეძახის ერთი ახალგაზდა: ,,მოდი, ყურში რაღაც ჩუმათ სათქმელი მაქვს“. ისიც მიდის, ყურს უშვერს და თქმის მაგივრათ ერთი სხვანაირი ,,მტლაშ!“ გამოისმის. ამას გერმანულათ Kuss ჰქვია და ქართულათ კი—კოცნა. ,,ე რა ჰქენით? ხომ ყველამ გაიგო, ასე მაგრათ ვინ გაიგონა!“.. ეუბნება ქალი, თითქოს ჯავრდება, მარა თვალებით კი ლაპარაკობს, მიამა, ძალიან მიამაო...

იტყვით: ეს გარყვნილობაა, უზნეობააო. შეცდებით. ეს მხოლოთ ხუმრობაა, ლაზღანდარობა, ბავშური ცელქობა. ყველა ახალგაზდა ცელქია. კელნერინიც ახალგაზდაა, ფერ ხორცით ჰყვავის, სისხლი უდუღს და რა ჰქნას, თუ არ იცელქოს? ცელქობს... ამასთან, თუ გინდათ, ეს მისი მოვალეობაცაა. იგი ვალდებულია სტუმრებს კარგათ მოექცეს, აამოს, გაართოს. სტუმრებსაც ამ გვარი გართობა მოწონთ და რა ჰქნას ქალმა. საკმარისია ვინმემ ორი სიტყვით უკმაყოფილება გამოაცხადოს ყავახანის პატრონთან და მას მაშინვე დაითხოვენ; ადგილი დაეკარგება, და ახალი ალაგის ძებნა და შოვნა—ეს ადვილი საქმე როდია.

მაშ კელნერინის ქცევა ანგარიშზე აგებული ყოფილა? ეგეც ტყუილია. ის თავის ცხოვრებას შეჩვეულია და ამიტომ მისი ქცევაც ძალ დატანებული არაა. იცინის, მხიარულობს, ცელქობს,—ეს არაა ძალდატანებულათ, არამედ იმიტომ რომ მას სხვანაირათ არ შეუძლია. ეს მისი ბუნებაა, მისი ხასიათია. მას სხვა ბუნება, სხვა ხასიათი არა აქვს. იმან ვინც ბუნებით მოწყენილია, მოღრუბლული, დადარდიანებული, თავს ძალა უნდა დაატანოს, რომ

გაიცინოს ან გაიხუმროს. კელნერინი ისეთი არსება როდია. მან არ იცის მეთქი მოწყენა. ის მუდამ მხიარულია.

თუ ეს დასაძრახისია, იმ შემთხვევაში ამაში უფრო დიდი წილი მიუნხენის ახალგაზდობას ერგება და განსაკუთრებით კი სტუდენტობას. არ უსვენებენ, არ უსვენებენ საწყალ კელნერინს და ესეც ეჩვევა ალერსს, მოფერებას.., სტუდენტი, როცა ყავახანაშია —და უნდა ვთქვათ, რომ ნახევარ თავის სიცოცხლეს ის ყავახანაში ატარებს—უეჭველათ კელნერინს უნდა ეარშიყოს, ემასხაროს, ელაზღანდაროს... ლუდი, სიგარა და კელნერინი ყავახანაში—აი ესაა მისი უმთავრესი გართობა.—საქმის ასეთ ვითარებას მიუნხენში ვაჭრობის მთელი დარგი შეუქმნია,—ეს არის ყვავილებით ვაჭრობა. ზიხართ ყავახანაში, შემოდის ქალი, ხელში ყვავილებით სავსე კალათი უჭერია და გაწვდით,—იყიდეო. რათ გინდათ თქვენ ყვავილი? ცხადია, ამას თქვენ არ მიიკერებთ გულზე. ეს გამყიდველმაც კარგათ იცის, მარა მანვე იცის, რომ ყვავილი საჩუქრათ გამოგადგებათ. ყიდულობს სტუდენტი და ეძახის კელნერინს. ისიც მოდის, ხედავს რომ მისთვის ყვავილი უყიდიათ და სახე უნათლდება, თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრის, ისე უხარია... „აი, საჩუქარი, მარა... მარა ერთი მპა!“—„რაა?“ ვითომ ვერ გაიგონა და ყური მისკენ მოაქვს...

ფ. ხატრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

## საქართველოს ისტორიის მასალა.

ბრიტანიის მუზეუმში ჩვენ ვნახეთ საქართველოს შესახებ რამდენიმე წიგნი დაბეჭდილი გასულ საუკუნოებში. ჩვენ ეს განვიხილეთ და ამოვიღეთ ის, რაც, ჩვენი აზრით, უფრო საყურადღებო და საინტერესოა. ზოგი ცნობა სიტყვა-სიტყვით არის გადმოწერილი, ზოგის მხოლოთ შინაარსია. ყველა ეს მასალა შეიცავს სამ რვეულს და ვფიქრობთ, დრო გამოშვებით ვსტამბოთ „კვალში“. ამასთანავე—ისიც უნდა ვთქვა, რომ ბრიტანიის მუზეუმში ბევრი წყაროებია ჩვენი ისტორიის შესახებ, მარა, სამწუხაროთ, ყველას გადაშინჯვა ვერ მოვასწარი.

ნ. ქ.

1) „Geschichte des Unruhen in Persien und Georgien, worinen zugleich die richtige genealogie des Prinzen Herkalius und vornehmste Taten dessen erhalten“.

Frankfurt a/m. 1755.

ქართულათ: „ისტორია სპარსეთის და საქართველოს არეულობათა, რაიცა ამასთანავე მეფე ირაკლის ნამდვილ გენეოლოგიას და მის უშესანიშნავეს საქმეებს შეიცავს“. ფრანკფურტი—მაინზე. 1755 წ.

ეს წიგნი შეიცავს 102 გვერდს და ფრანგულიდან [1]) ნემეცურათ უთარგმნიათ. მთარგმნელი თავის წინასიტყვაობაში წერს: „ჩვენ მევაზეთეებმა მეფე ირაკლი ერთიანათ გააზღაპრეს, ის გამოჰყავთ ერთ უდიდეს მებრძოლ და შემთხვევების მაძიებელ პირათ, რომლის მზგავსი ქვეყანაზე არ ყოფილა. მას აწერენ ისეთ საქმეებს, რომელზედაც მას შეიძლება არც კი უფიქრია; თავზე ადგამენ ისეთ გვირგვინს, რომელიც მას არც კი უძებნია, გაჰყავთ ომებში მაშინ, როცა ის თავის პატარა ოჯახში ცოლშვილის სიყვარულით ტკბებოდა. აი ამ ზღაპრების გასაფანტავათ და სინამდვილის აღსადგენათ ეს წიგნი ვთარგმნეო“. ბოლოში ჩაურთავს ქართლ-კახეთის მეფეთა გენეოლოგიის რუკა. განსაკუთრებითი ყურადღება ირაკლის გენეოლოგიაზე არის მიქცეული. მთელი წიგნი ირაკლის შესახებ არის დაწერილი დ̃ თუ ხანდახან იხსენიებს გურიას, სამეგრელოს, იმერეთს, სპარსეთს და სხ., მხოლოთ მიტომ, რომ მათთან ირაკლის ჰქონებია რაიმე საქმე და კავშირი. წიგნის ავტორი არ ჩანს უნდა იყოს ფრანგი, რომელიც სადმე აქეთ ცხოვრებდა როგორც კონსული, მისიონერი, ვაჭარი ან და უბრალო მოგზაური. ის წინა სიტყვაობაში ამბობს, „მე ამას ვწერ ისეთ ქალაქში, რომელსაც სპარსეთსა და საქართველოსთან მჭიდრო კავშირი აქვს. მე ვიცნობ იმ ვაჭრებს, რომელნიც ამ ორივე ქვეყანაში ვაჭრობენ დ̃ რომელთა პირდაპირი სარგებლობა მოითხოვს ყოველივე დაწვრილებით იცოდენ. დასასრულ ამ წიგნაკს ვწერ ისეთი პირის ხელმძღვანელობით, რომელიც, სამსახურის გამო, მუდმივ მიწერ-მოწერაშია მისიონერებთან და ამათგან გონიერათ და სისრულით დაწერილ მოხსენებებს ღებულობს.“

პირველ თავში ავტორი მოგვითხრობს შახ-აბაზის და თეიმურაზ I ის ამბებს. ადარებს მათ ერთმანეთს და ჰპოებს თეიმურაზში ადამიანურ და მეფურ ღირსებებს ერთათ თავმოყრილს, ხოლო შახ-აბაზში კარგთან ერთათ ბევრი საძაგელი საქმეების ჩამდენს. აწერილი აქვს ქეთევანის წამება. „პიეტრო დელავალე ამბობს, რომ მან სპარსეთის ერთ სამეფო სასახლეში ფერჰასბადს (zu Ferhasbad) ქეთევანის სურათი ნახა, რომელიც, მუხლ მოდრეკით დახატული, თავის შვილის და მშვიდობიანობისთვის ლოცულობდა“. შახ-აბაზის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეთ

[1]) ფრანგული ეგზემპლიარი ვერ ვნახე.

თეიმურაზის შვილი ირაკლი პირველი შეიქმნა; ხოლო 1740 წ. მისი შვილი თეიმურაზ მეორე გამეფდა. თეიმურაზმა შემდეგ თავისი ტახტი ირაკლი მეორეს დაულოცა. „თეიმურაზი კიდევ ცოცხალია, ხნოვანობამ მისი ფიზიკური ძალა თუმცა შეასუსტა, მარა სამაგიეროთ, მისი სიყოჩაღე და გულადობა არ შეუსუსტებია. უკანასკნელ წლებში მისი შვილის, ირაკლის, წინამძღოლობით იბრძოდა და სრულებით არ შერცხვენია მისი ხელქვეითობა. ის ახლა, წლოვანებით და დაფნის გვირგვინებით შემკული, ცხოვრებს თფილისში, განთქმულია როგორც ბრძენი, როგორც გულ კეთილი მთავარი, როგორც მოსიყვარულე მამა, როგორც სალდათი და შორს მჭვრეტი ღენერალი. თავის უკანასკნელ დღეებს ის ატარებს შვილის გაწვრთნაში და ხელ მძღვანელობაში. თეიმურაზი ამ ჟამათ თავისი შვილის სახელით ცოცხლობს და ყოველსავე ღონეს ხმარობს თავისი გამოცდილება და რჩევა შვილს გამოაყენებინოს..“

1751 წ. ირაკლიმ გაილაშქრა აჯანყებულ ავღანელთა (Aghuaner) წინააღმდეგ. მის ჯარს სომხებიც შეუერთდენ. მეომართ ტანისამოსზე და დროშაზე ჯვარი ჰქონდათ გაკეთებული. „ამ ბრძოლაში ირაკლიმ ერთი ისეთი სიყოჩაღე გამოიჩინა, რომ ამის მზგავსს ძველ-ქვეყნის გმირთა მოქმედებაშიაც ვერ ვხედავთ!! მან ერთი სროლით მოკლა მტერთა სარდალი, რომელმაც ირაკლი პირადათ გამოითხოვა მოედანზე. „ირაკლიმ დაიპყრო თავრიზი, განჯა დ ქურუმი (Quroumi) და გამოაცხადა, რომ ის ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც დევლეტ-შერიქი (Dewlet—Scheriki), ანუ სახელმწიფოს თანამოზიარე. ამბობენ მან ეს ტიტული მიითვისა და შახრუხს პირობით შეეკრა მთელი ეს სამეფო გაეყოთო. მარა მე ამის შესახებ დაბეჯითებით არაფერი ვიცი“.

აქვე უნდა მოვიხსენიო ერთი უცნობი ამბავი ირაკლის შესახებ. კათოლიკებმა თფილისში ერთი დიდი ეკლესია ააშენეს. ქათალიკოსს ეწყინა ეს, რადგანაც ის სიონს ჯობდა და ირაკლის თხოვა: მოახდინე განკარგულება, რომ ეს სიონზე გაგვიცვალონო. მეფეს ამისთვის არ სცალოდა და, რომ ქათალიკოზი თავიდან მოეშორებია, დაჰპირდა ომიდან დაბრუნების შემდეგ შენ თხოვნას ავასრულებო. ომში ის ძლეულ იქმნა, ლეკებმა განჯა აიღეს, ირაკლი გამოიქცა თფილისს. ეს დამარცხება მან მიიღო ღვთის წყრომათ ქათალიკოზისთვის უსამართლო დაპირების მიცემის გამო. მან ფეხ-ტიტველა შემოიარა ყველა ეკლესიები და ღმერთს მოტევება თხოვა უსამართლო საქმის ჩადენისათვის. კათოლიკებს ეკლესია დაუმტკიცა და ბევრი საჩუქრებიც მისცა.

„ირაკლი წავიდა ჩერქეზეთში და იქიდან ოთხი ათასი ჯარი მოიყვანა. თითოეულ ამათ დღეში 6 თუმანი (?! Tomons=თუმანი?) დაუნიშნა, ხოლო ჩერქეზეთში მძევლათ თავისი უფროსი შვილი დატოვა. ასე შეერთებული ძალით ის 1752 წ. აგვისტოში შეებრძოლა ლეკებს და ერთიანათ დაამარცხა. მეფემ კარგათ იცოდა, რომ ეს ჩერქეზთა ჯარის დახმარებით მოხდა და ამიტომ მთელი ნადავლი მას აჩუქა. ეს ისე ესიამოვნათ ჩერქეზებს, რომ აღუთქვეს 20 ათას კაცს მოგახმართ, როცა დაგჭირდებათო. იმედია ირაკლი ამას კარგათ გამოიყენებს“

თავი მეექვსე. სპარსეთის და საქართველოს მდგომარეობა 1753 წელს.

„ირაკლი ფიქრობს მთელი ეს ხალხი (ლეკები) ერთიანათ გაწყვეტოს, რადგან ეს ყოველივე მის პლანებს წინ ეღობება და განხორციელებას არ ანებებს. და მართლაც მას არავითარი დიდი საქმის გაკეთება არ შეუძლია მანამდი, სანამდი ამ მუდმივ მტერს არ გაანადგურებს.“

მარტში (1753 წ.) მოხდა საიდუმლო რჩევა და გადაწყვიტეს ირაკლი 12 ათასი კაცით განჯას დაეცემა, ხოლო თეიმურაზი 6 ათასი კაცით ქალაქში დარჩება. ავღანელთა უფროსმა იზადმა თავრიზი და მთელი თავისი სამეფო ირაკლის დაუმორჩილა. ივნისში რუსეთს გაგზავნეს ქათალიკოზი. ამბობენ, დიდი საქმის გასაკეთებლათ წავიდაო. მარა ჯერ არავინ იცის, რა გამოვა ამ მოლაპარაკებიდან.

„მე მსურს ეს წიგნაკი დავაბოლოვო ირაკლის დახასიათებით, რომელიც ამ ჟამათ ერთი უშესანიშნავესი და უძლიერესი პირთაგანია ორივე სამეფოში (სპარსეთში და საქართველოში). ის არის როგორც ყველა მისი მნახველი მოწმობს, უსრულესი და უნაკლულო მეფე, რომელიც კი აღმოსავლეთს ოდესმე მოუცია. ის 27 წლისაა. მასში დიდ საოხუნჯო ნიჭთან ერთათ შეერთებულია ისეთი გონიერება, რომ მის ახალგაზდურ შეხედულობას გაუწყებიებს. მას აქვს დიდი გამოცდილება, ძალ-დაუტანებელი სიყოჩაღე, სამაგალითო სათნოება, იშვიათი სიმართივე, უსაზღვრო ხელ-გაშლილობა. ეს ღირსებანი ირაკლის ხდიან თავის ხალხთა და მეომართა ღმერთათ, მეზობლების საკვირველებათ და მტერთა თავ-ზარ დამცემათ. ის არის საკმაო მაღალი (!), ჩასკვნილი, და გვარიანი ლამაზი პირის სახის. თუმცა ქცევით და ჩაცმულობით ბუნებრივი, სადაა, მარა მთელი მისი არსებიდან გამოკრთის რაღაც ხელმწიფური, რაიცა გაგრძნობიებს, რომ ის მეფეა თა-

ეის სასახლეში და სარდალი თავის ჯარში. მათი (თეიმურაზი დ ირაკლი) სახელი ყოველივე ექვს გარეშეა. მათ არ ჰყავთ არც მგოსნები და არც მეისტორიენი, რომ ქებადიდება აწერიონ. ისინი არ ატარებენ არავითარ განსადიდებელ მეტ-სახელს, რაც ხალხს აშინებს, პირმოთნეობას ავრცელებს და ჭეშმარიტებას აბნელებს. მშვიდობიანობის დროს ისინი არ იმალებიან სასახლის ზღუდეებში და ომის ველზე ჯარის უკან არ დგებიან. მათი ცუდი, თუ კარგი მოქმედება ყველასათვის დღესავით ნათელია და თითოეულ მათ ქვეშევრდომთა თუ მეომართაგანს მსჯავრის დადება შეუძლია.

„ყველა ის, რაც ირაკლიზე ვთქვი, იოტის ოდენათაც არ არის გადაჭარბებული. რას არ უნდა მოველოდეთ იმ მეფისაგან, რომელიც ამდენი შესანიშნავი თვისებებით არის შემკული და ამასთანავე ორ დიდ სამეფოს—საქართველოს და სპარსეთის სომხეთს—ფლობს? რა დიდ საქმეს არ დააგვირგვინებს ის, რომელიც ამ ორ, მეფის და ქრისტიანობისთვის თავდადებულ, ხალხთ წინ უძლვის და მეთაურობს?“

## წერილები რედაქციის მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფევ ქ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის“ საშუალებით გამოვაცხადოთ „ახალი მკითხველის“ საქმეების გასარჩევად ამორჩეულ კომისიის და მკითხველი საზოგადოების საყურადღებოთ შემდეგი: როგორც უკვე ეუწყა საზოგადოებას, წარსულ 10 დეკემბერს მომხდარ სარევიზიო კომისიის და ზოგიერთა წევრების კრებამ დაადგინა ამხანაგობის მოქმედება შეჩერებულიყო; ამავე კრებამ შეუმცდებლად დაინახა, რომ საქმეების დაბოლოებამდის ამხანაგობის დარჩენილი ქონება მმართველის ხელში ყოფილიყო, და იგი (ქონება) ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერთ — ჩაგვბარა შესანახად. ამგვარად ამხანაგობის მოქმედება შეწყდა, მაშასადამე აღარც ხელის მოწერა მიიღება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს გარემოება უკვე გამოცხადებული იყო გაზეთით, ზოგიერთა პირნი მაინც ისევ უგზავნიან ამხანაგობას ბ. როსტომაშვილის სახელზედ საწევრო ფულს. სახელდობრ. სარაკამიშიდან (ყარსის ოლქი) ბ.ბ. თორთლაძისაგან და თავ. ჩერქეზიშვილისაგან მოსულა თითო მანეთი, დ. ა. ართმელაძისაგან —3 მან. ქ. ბათომიდან ქ-ნ მ. მსეიძისაგან 21 მან. (რომელიც შეუგროვებია წარსულ წელს, მაგრამ ამხანაგობამ კი დღემდის ამის შესახებ არა იცოდა რა.) სულ 26 მ. ამ ფულიდან ბ. როსტომაშვილი გვიგზავნის ჩვენ 20 მ. და გვწერს: „ექვსი მანეთი მე ავიღე, რომელიც ამხანაგობას დაედო ჩემით“. პატივი გვაქვს მოვახსენოთ ბ. ი. პ. როსტომაშვილს, რომ ვის ვისი ვალი დაედო — ამხანაგობას ბ. როსტომაშვილისა, თუ ბ. როსტომაშვილს ამხანაგობისა, ეს ჩვენი საქმე არ არის. ეს ზემოხსენებულმა კომისიამ გამოარკვიოს. ხოლო ის კი ყველასთვის ცხადია, რომ თუნდაც ამხანაგობას ბ. როსტომაშვილის ვალი ემართოს, ზემოხსენებული პირნი ვერ ივისრებენ ამ ვალის გასტუმრებას. მათ ამხანაგობის არც წაგებაში და არც მოგებაში არავითარი წილი არ უდევთ. ამხანაგობა წარსულ წელს მოქმედებდა და ისინი კი საწევრო ფულს გზავნიან დღეს, როცა ამხანაგობის ყოველგვარი წარმოება სრულიად შეჩერებულია. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ბ. ი. პ. როსტომაშვილს ხსენებული ექვსი მანეთი დაგვიბრუნოს, რათა უნაკლულოთ უკანვე გავუგზავნოთ ფული გამომგზავნელთ.

რ. კალაძე.

ლ. დარჩიაშვილი.

1898 წ. 8 იანვარი

ქ. თფილისი.

—

თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში“ № 51 ნომერში, სხვადასხვა ამბავთა შორის, არის პატარა შენიშვნა ამაღლების ეკლესიის სამრევლო სკოლის შესახებ, რომელიც ამ ორი წლის წინეთ დახურავს მ. გ—ბოვს. ამაზე მიბოძეთ ნება ორიოდე სიტყვა მეც დავძინო.—სკოლის დახურვას ვინ ჩივის, დახურული სკოლა ჩქარა გაიხსნება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს პატივცემული მ. გ—ბოვი მე, თავის მოადგილეს, არ მაძლევს არავითარ ცნობას, საბუთებს და დოკუმენტებს, რომლებიდანაც შევიტყო, რა ფულით არსებობდა იგი, რა შემოდიოდა მოსწავლეებისაგან, რას აძლევდა მასწავლებელსა და სხვებს. არაფერ სკოლის საკუთრებათა სურათებს ანუ წიგნებს, ანუ რვეულებს, არ იძლევა, და, ნაცვლად ამისა, ის ჩივის მთავრობასთან რვა წლის სახლის ქირას და ედავება ეკლესიას 1920 მან. მასწავლებელს მე ვინახავდიო, თხოულობს იმის ჯამაგირსაც, და გარეშე ამისა თვით მასწავლებელიც ცალკე თხოულობს, ჩემი ჯამაგირი დარჩა და უნდა მომეცეს 250 მანეთზე მეტიო, აგრეთვე თხოულობს და ჩივის თავის ჯამაგირს ეკლესიიდან 550 მანეთზე მეტს; ხოლო რა იქმნა მოწაფეებიდან შემოსული ფული, ამის ცნობები და სხვებიც დაფარულია მისგანვე. უფრო კიდევ ისაა სამწუხარო, რომ დღეს, რომელიც ეკკლესიის საკრებულო სახლია, იმასაც თვით ჩემულობს, ამბობს: „სახლი ჩემი აშენებულია და ადგილი სახელმწიფოსაო“. მე მწადდა სკოლის სახლი ამეშენებინა წელს გაზაფხულში, მაგრამ ეკკლესიის გალავანში რაც ადგილებია სასკოლო, ზოგი თვით მ. გ—ბოვმა და-

ჩემა და ზოგიც დაჩემა სახელმწიფოს და ეკლესიას გზა და კვალი დაუკარგა. ეკლესიას რაც ფული ჰქონია, სულ დაუხარჯავს, გარდა ცოტა რამისა, რომელიც ზარისთვის არის მოგროვილი და ცოტაოდენიც სკოლისათვის. ხო აქ მოხსენებული მოქმედებანი მისნი მეც მიშლიან ხელს რომ რამე შევეცადო სკოლის გახსნისათვის და ეკლესიის აშენებისათვის.

თფილისის ამაღლების ეკლესიის მღვდელი დავით ბარნაბოვი.

—

ქ-ნო რედაქტორო! რადგანაც ცხოვრებაში დაკვირვებით ვცანი, რომ ხალხს არ შეშვენის (მეტადრე ქართველთ) უბრალო-უმნიშვნელ-უმიზნოთ ფულის ხარჯვა, როდესაც ბევრნაირი საქველ-მოქმედო საქმეები დიდ დახმარებას საჭიროებენ, ამისათვის მე მსურდა ცოტაოდნათ დავხმარებოდი რომელსამე საქველ-მოქმედო საქმეს იმ წვლილით, რაც დამეხარჯებოდა საახალწლოთ მილოცვის დროს (ეტლში და საჩუქრებში), რის გამოც გიგზავნით ხუთ მანათს, რათა გაუგზავნოთ სოფელ რუისის სამკითხველოს ჟურნალი „ჯეჯილი“.

იმედი მაქვს, რომ ჩემი ნაცნობ-ნათესაობა არ დამენდურება „მიულოცველობაზე“ და არც ამ წერილის წამკითხველი დასცინებს ჩემ განზრახვას.

გული გიკვდება, როდესაც ჰხედავ ჩვენ საზოგადოებას უკუღმართ გზაზე დამდგარს (რასაკვირველია ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ამათი რიცხვი მცირეა). აჰყოლიან გულს, ჭკუას კი აღარ ეკითხებიან) და ასრულებდენ ყოველ მოთხოვნილებას საზოგადო ცხოვრებისას, თუმცა თითონაც გრძნობენ, რომ ყველა ის ფუქსავატ-უმნიშვნელოა. მაგრამ ამასთანავე „იმედიც“ კი გვძლევა, რადგანაც ატყობ თანდათან გამორკვევას ჩვენი საზოგადოებისას. ღმერთმა ინებოს!

იმედია ჩემი გარეთ-გასული თანამედროვე მემამულენი, ყურადღებას მიაქცევენ რუისში დაარსებულ სამკითხველოს და თავის წვლილს არ დაიშურებენ.

რუისელი იასონი.

## ამ ნომერში ნახმარი საჭირო უცხო სიტყვების ახსნა

გენეოლოგია—შთამომავლობა; დევიზი—სახელმძღვანელო აზრი; თეორია—მოვლენათა ასახსნელი ცნობათა კრება; ინდივიდუალური—სათითაო, ერთეული; კონკურენცია—მოცილეობა; მანიფესტაცია—წინააღმდეგობა (ან თანაგრძნობა) ხალხის მიერ გამოცხადებული; მეტოდი—წესი, რიგი; პერიოდული—დრო გამოშვებითი; პროლეტარიატი—საკუთრებას მოკლებული, ბოგანო; პატრიარქალური—ძველებური, მამა-პაპური; პროპაგანდა—აზრის გავრცელება; პროგრესი—წინ სვლა; პლუტოკრატი—ფულით გაბატონებული; რეფერატი—მოხსენება; რეაქცია—უკან დახევა; სინდიკატი—შეერთება, ამხანაგობა; ტრიბუნა—სალაპარაკო კათედრა.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართული წიგნის მაღაზიებში მ. ა. ბარკალაიას მიერ გამოცემული ახალი წიგნი

საამდროო გამოცანები

(ზმა კიდურები ჩვენს მოღვაწეებს)

თ. ნ. ტ. დადიანისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ღირს 15 კაპ. ვინც ას წიგნს ერთათ იყიდის გამომცემლისაგან ქ. ქუთაისში დაეთმობა მანეთზე ერთი აბაზი.

(10—1)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თ ითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 102) და თვით „კვალის“ რედაქციაში Артиллер. ул. д. Тамамшева возлѣ кадетскаго корпуса.

ქალაქ გარეთ რედაქციას ყველგან ჰყავს თავისი აგენტები.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Января 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр. д., № 4.1